გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 81
(11 538)

16 – 18 ოქტომბერი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

17
UEFA
UNDER-17
Championship

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# უფროსების მიბაძვით ჩვენმა ჭაბუკმა ფეხბურთელებმაც ისწავლეს მეტოქის ძლევა

5

# ნომრიდან ნომრამდე



ქართული კალათბურთი ორგანიზაციულად ღრმა კრიზისშია. ჯერ ის ვთქვათ, რომ 13 ოქტომბერს დაგეგმილი ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა, რომელიც იგეგმებოდა ფედერაციის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, არ ჩატარდა, თანაც პრეზიდენტის ვაკანტურ პოსტზე (ყოფილი პრეზიდენტი გ. ქათამაძე ამას წინათ გადადგა), განცხადება დადგენილ ვადაში არავის წარუდგენია. ყრილობა გადაიდო 16 ნოემბრისთვის, თუ პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურა ისევ არ გამოჩნდა, ყრილობა ჩატარდება, მაგრამ ფედერაცია, ალბათ, იმუშავებს უპრეზიდენტოდ.

საფრთხის წინაშეა ეროვნული ჩემპიონატის დაწყებაც. ძირითადი, ასე ვთქვათ, ფედერაციისთვის ხელმისაწვდომი სარბიელი ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზია, მაგრამ იქ მოუგვარებელია განათება, არ არის ტაბლო, ცხელი წყალი, მოუწესრიგებელია გასახდელები, თანხებია საჭირო გათბობისთვის. ერთადერთი სრულყოფილი ბაზა ბათუმშია, მაგრამ იქ შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი ტური.

ამასობაში მოახლოვდა 17 ოქტომბერი, როცა ევროპულ ტურნირში კორაჩის თასზე თბილისის „მაკაბი“ უნდა შეხვდეს რუსეთში ბოლო ხანებში აშკარად მომძლავრებულ როსტოვის „ავტოდორს“. ეს ის კლუბია, რომელმაც ამას წინათ, თვით მოსკოვის ცსკა დაამარცხა. შეხვედრა თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება. ჩვენები პირდაპირ მეორე წრიდან ჩართო წილისყრამ ამ ასპარეზობაში. ქართული „მაკაბი“, როგორც ეს განაცხადა გასულ კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე კლუბის პრეზიდენტმა და მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ ხუხაშვილმა, კარგ ფორმაშია. რამდენიმე დღის წინ ამ გუნდმა შესანიშნავად იასპარეზა კიევში ამჯერად უკვე რიგით მეორედ გამართულ „უკრაინაში საქართველოს საელჩოს თასის“ გათამაშებაში. ფინალში მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით (89-90) დამარცხდა „მაკაბი“ მასპინძელთა ცსკა-სთან. „ავტოდორს“ იუგოსლავიის ყოფილი ნაკრების მწვრთნელი უდგას სათავეში, ჰყავს სამი პროფესიონალი კალათბურთელი, მათ შორის ერთი ნბა-დან. „ავტოდორი“ „კორაჩის თასის“ დაუფლებას გეგმავს. საერთოდ, იგი ერთ-ერთი უძლიერესი ვაჟთა გუნდია, რომელსაც კი ოდესმე უთამაშია თბილისში. ისე რომ, ჩვენს გულშემატკივრებს წინ მეტად საინტერესო, დაძაბული სანახაობა ელოდება.

## მსოფლიო ჩემპიონატზე „პოსლეზე“?

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, ამ კვირის ბოლოს კრასნოიარსკში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში. საქართველოს ნაკრების გამგზავრება სათუო იყო უსახსრობის გამო. თანხა ფინანსთა სამინისტროს და ხაზინის „წყალობით“ მაინც არ გამოინახა, და გუნდმა საკუთარი ფული დადო, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისგან კი საგარანტიო წერილი მიიღო, რომ დანახარჯს მომავალი წლის ბიუჯეტიდან მაინც აუნაზღაურებენ.



ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ასეთია: 52 კგ – დავით მიხელიძე (ლაგოდეხი), 57 კგ – აკაკი ხანიშვილი (გორი), 62 კგ – გიორგი მერებაშვილი (კასპი), 68 კგ – არჩილ ჩოხელი (მცხეთა, გუნდის კაპიტანი), 74 კგ არჩილ ბიძინაშვილი (თბილისი), 82 კგ – ნიკოლოზ ბიბილაშვილი (გორი), 90 კგ – გიორგი შუბითიძე (რუსთავი), 100 კგ – მირიან პავლიაშვილი (მცხეთა, მძიმე – მიხეილ ჩხეიძე (თბილისი). მთავარი მწვრთნელია ოლეგ იაძე, სასჯად მიემგზავრება ემილ რაში.



ფრაიბურგი – სანქტ პაული

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

6



## ორ ქართველს – ბრინჯაო!



ძიუდოისტთა მოსკოვის პირველი საერთაშორისო ტურნირი არც ისე სოლიდური და ზეპური გამოდგა, როგორც ხმაურობდნენ. როგორც „ლელოს“ წინა ნომერში გაუწყეთ, ჯერ სპონსორებმა „გადააგდეს“ ორგანიზატორები და საპრიზო ფონდი მილიონ სამასი ათასიდან 700 ათასამდე შემცირდა. მერე ტურნირში მონაწილეობაზე განაცხადეს უარი მსოფლიოს მოწინავე ძიუდოისტებმა გერმანიიდან, იაპონიიდან, ყირგიზეთიდან, თურქეთიდან... დაპირებისამებრ არ ჩავიდნენ მოსკოვში ტურნირის საპატიო სტუმრებად მიწვეული ბეკენბაუერი, ბეკერი, ლაუდა და მონაკოს პრინცი ალბერტი.

22 ქვეყნის ფალავნები მაინც შეიკრიბნენ საასპარეზოდ, რომელთა შორის საქართველოს ძიუდოისტებიც იყვნენ. ორმა ჩვენმა მოჭიდავემ ზურაბ ზვიადაურმა (90 კგ) და ივერი ჯიქურაულმა (100) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

გამარჯვებულებს ჯილდოდ გადაეცათ 6-6 ათასი დოლარი, ვერცხლის პრიზიორებს — 4-4 ათასი, ბრინჯაოს პრიზიორებს — 2-2 ათასი. ***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.*** ***60 კგ:*** 1. ა. გაუნოვი (რუსეთი), 2. ე. იზმაილოვი (აზერ), 3. ს. გორდეევი, ვ. დეგტიარევი (ორივე — რუსეთი); ***66 კგ:*** 1. რ. მირზალოვი (უკრ), 2. ი. მაციევი (რუსეთი), 3. ა. მირესმაედი (ირანი), ა. დოლგუშევი (რუსეთი); ***73 კგ:*** 1. ა. შახაროვი (ყაზახ), 2. ა. ლარიუკოვი (ბელარ), 3. ს. ოლივეირა (ბრაზ), ვ. ზელენი (ლატ); ***81 კგ:*** 1. ა. ბუდოლინი (ესტ), 2. მ. დელგადო (პორტუგ), 3. ა. შერშენევი (რუსეთი), ჩო ინ ჩული (კორეა); ***90 კგ:*** 1. კ. მაშურენკო (უკრ), 2. იუნ დონგ სიკი (კორეა), 3. ზ. ზვიადაური (საქ), რ. გაჯიმაგომედოვი (რუსეთი); ***100 კგ:*** ნ. ჯილი (კანადა), 2. ა. კოვაჩი (უნგრ), 3. ა. ზეევი (ისრ), ივერი ჯიქურაული (საქ.), ***მძიმე:*** 1. ტ. ტმენოვი, 2. ა. მიხაილინი, 3. გ. მუსლიმოვი (სამივე — რუსეთი), ი. პერტელსონი (ესტ).

## ერიჰაა!

# ქართული სპორტის მოძულენი... მთავრობაში?

### ანუ როგორ გაწირეს ეროვნული სიამაყე პერმანენტული კვდომისთვის

სხვაგვარად ვერ უწოდებ იმ აგდებულ, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, რასაც ჩვენი ეროვნული ხელისუფლება, კერძოდ, მისი უხეირო დასაყრდენი ფინანსთა სამინისტრო იჩენს ქართული სპორტის მიმართ. ქართულ სპორტს, უკვე შეიძლება ითქვას, მხარდამჭერი და გულშემატკივარი აღარ ჰყავს მთავრობაში. სხვა რა უნდა იფიქრო, როცა ბიუჯეტიდან გამოყოფილ ისედაც მწირ, მართლაც რომ სასაცილო თანხას, ქართული სპორტი ან დიდი ვაინაჩრობის შემდეგ იღებს ლუკმა-ლუკმად, ანაც, საერთოდ, ვერ იღებს. მიმდინარე წლის მეორე ნახევარში უკვე უჩვენოდ ჩაიარა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებმა, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებმა და ტურნირებმა. ყველაფერი იქით მიდის, რომ ქართული სპორტი პერმანენტული კვდომისთვის გაწირეს. ნურავინ იფიქრებს, რომ დღევანდელი გულგრილობა, რომელიც ზედა ეშელონებიდან რისხავს ქართულ სპორტს, უკვალოდ ჩაივლის. ადრე თუ გვიან, შეჩვენება-პასუხისმგებლობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, ეს უდიერი ხელის აქნევა, ანგრევს ქართული სპორტის სისტემას, რომლის ტრადიციები, ავად თუ კარგად, რის ვაივაგლახით კიდევ მოვიტანეთ დღემდე. აბა, რა უნდა იფიქროს ჩვენს სპორტში დღევანდელი სიტუაციის შემხედვარე ახალგაზრდობამ თუ არა ის, რომ შინ მათ შრომას არავინ აფასებს და თვალი უცხოეთზე უჭირავს, ზოგმა სულაც აიღოს ხელი სპორტზე და უმუშევარ, ქუჩის ანაბრად დარჩენილ ახალგაზრდებს შეუერთდეს. გრძნობს თუ არა ამაზე პასუხისმგებლობას ხელისუფლება, ჰვრეტენ თუ არა ქვეყნის ფინანსური მამები, რა მოელის ქართულ სპორტს ასეთი დამოკიდებულებით მათ ხელში?

წინაა მიმდინარე წლის კიდევ არაერთი შეჯიბრება, კარს მოგვადგა ზამთრის ოლიმპიური თამაშები, სადაც თუ ჩვენი ქვეყნის დროშა არ აფრიალდება, სხვა რომ არაფერი, ოლიმპიური მოძრაობიდან მოკვეთა არ აგვცდება. საქართველოში სპორტი ერთ-ერთი სფეროა, რომელიც მსოფლიოს სტანდარტების დონეზე წარმოაჩენს ქვეყანას. თუ ამასაც ხელი ვკარით, მაშ რაღა ვართ, საით მივდივართ, რა გვინდა?

იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან!

მიმომხილველი



ომანი – უზბეკეთი

6



## მიხაელ შუმახერმა ჩემპიონატი ბრწყინვალედ დაასრულა...

8

## ჩემპიონობა სიზმრემდე

3

## თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურს თავისი საფინანსო საქმიანობა სააშკარაოზე გამოაქვს

2

ATHENS 2004

CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 10 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 118 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

# „გაზპრომი“ დაეხმარება რუსეთის ეოკ-ს

„გაზპრომის“ ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა განაცხადა, რომ მზადაა დაეხმაროს რუსეთის ოლიმპიურ კომიტეტს და უმალვე მოაწერა ხელი თანამშრომლის შეთანხმებას რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტ ლეონიდ ტიაგაჩევთან ერთად. შეთანხმებით „გაზპრომი“ 600 ათასი დოლარის ჩეკს გადასცემს რუსეთის ეოკ-ს. ეს თანხა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში რუსეთის სპორტსმენების მზადებას და ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას მოხმარდება. ამასთან, შეიქმნა ორმხრივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც რუსეთის ეოკ-ისადმი შემდგომი ფინანსური შემწეობის გეგმიურ რელსებზე გადაყვანაზე იმუშავებს.

# „მინიმ“ წყალზეც მტკიცედ მოიკიდა ფეხი

დიახ, მინიფეხბურთთან და მინიფრენბურთთან (ანუ საპლაჟო) ერთად სარბიელზე გამოდის მცირე წყალბურთიც, მას საპლაჟოსაც უწოდებენ, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ინერგება, იტალიაში სამი წელია, რაც მინიწყალბურთს მისდევენ და სწორედ მათ ითავეს წლეულს ევროპის პირველი ჩემპიონატის ჩატარება ვაჟთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა ხუთი გუნდი და გაიმარჯვეს რუსეთელმა სპორტსმენებმა, რომლის საფუძველს წარმოადგენდნენ მოსკოვის კლუბ „დინამოს“ უძლიერესი მოთამაშეები.

წლეულს, თებერვალში შეიქმნა საპლაჟო (მინი) წყალბურთის საერთაშორისო ფედერაცია, პრეზიდენტია გუალტერო პარიზიო, ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ რუსეთის მინიწყალბურთის პრეზიდენტი ევგენი ივანოვი, რომლის თაოსნობით სექტემბრის ბოლო რიცხვებში, სოჭში, გაიმართა პირველი ღია საერთაშორისო ტურნირი, სადაც გამოდიოდა თბილისის ვეტერანთა ნაკრები.

მაინც რით განსხვავდება მინიწყალბურთი დიდი წყალბურთისგან? არენის ზომაა — 15X11 მ (ნაცვლად 30X20); გუნდის შემადგენლობაშია 7 მოთამაშე, ერთდროულად თამაშობს 4 7-ის ნაცვლად. ბურთის ფლობისა და თამაშის დრო, აგრეთვე წყლიდან მოთამაშის გაძევება ლიმიტირებული არ არის. თამაში განისაზღვრება ორი სეტით, 6 გოლამდე, თამაშიდან გაძევებულ მოთამაშეს შეუძლია უმალვე დაბრუნდეს არენაზე, ოღონდ წინასწარ ხელი უნდა შეახოს თავისი კარის პირით ხაზს. კარის ზომა 2,5X0,8 მ (ნაცვლად 3,0X0,9 მ). მოთამაშეთა შეცვლა შეიძლება განუსაზღვრელი რაოდენობით, თამაშის ნე-



ბისმიერ დროს. გოლის გატანა ნებადართულია კუთხურიდან, თავისუფალი დარტყმით, აგრეთვე საკუთარი ნახევრიდან. ბურთი მცირე ზომისა და წონისაა (ქალთა წყალბურთის).

სოჭის ტურნირის ჩატარება, მასში საქართველოს ნაკრების მიწვევა და ასპარეზობის მთავარ მსაჯად ცნობილი ქართველი არბიტრის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ზურაბ ჩაჩავას დანიშვნა, რუსეთის მინიწყალბურთის ფედერაციის ინიციატივა იყო. რაც, რა თქმა უნდა, იმის დასტურია, რომ ქართველი სპორტსმენები, საერთოდ ჩვენი წყალბურთი დღესაც ინარჩუნებს წონას და გვიწევენ ანგარიშს. ეს თვალნათლივ დაამტკიცეს ჩვენმა წარგზავნილებმა, — თბილისის ვეტერანთა ნაკრების მოთამაშეებმა: მოთამაშე-მწვრთნელმა დავით რურუამ, მეკარე — გიორგი კერესელიძემ, მოთამაშეებმა — კახა კანდელაკმა, შოთა ბადათურიამ, ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა, გალაქტიონ ლომთაძემ, იური ჭავჭანიძემ და მსაჯმა ირაკლი კიკალიშვილმა.

ტურნირში გამოდიოდა აგრეთვე მოსკოვის „დინამო-1“, „დინამო-2“, „კრონშტადტი“, სამხედრო-საზღვაო ძალები (სანკტ-პეტერბურგი), თბილისელმა წყალბურთელებმა ორი თამაში მოიგეს და ამდენივე წააგეს მოსკოვის დინამოელებთან და მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ. მათ ბრინჯაოს მედლებთან და მესამე ხარისხის დიპლომებთან ერთად მიწვევა მიიღეს, გამოვიდნენ მერმის ტურნირში, რომელშიც ევროპის უძლიერესი გუნდები იასპარეზებენ.

მინიწყალბურთი სულ უფრო პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში. შედეგი ისაა, რომ იგი სპორტის დამოუკიდებელ სახეობად სცნეს. ფინა (წყალთა სახეობების საერთაშორისო ფედერაცია) მოუწოდებს ყველა ქვეყნის ფედერაციებს მის დანერგვა-განვითარებას და აღუქვამს დახმარებას.

ამ თამაშის სპეციფიკა მოითხოვს მოთამაშეთა მეყსიერ სათამაშო აზროვნებას, ფეთქებად ფიზიკურ მომზადებას; მოთამაშეთა ხშირი ცვლა და ტაიმ-აუტები, შედარებით შეკუმშული თამაშის დრო — მაქსიმუმ 30-35 წუთი უფრო ზრდის თამაშის სანახაობით მხარეს და მიიპყრობს ყველა ასაკის სპორტსმენების ყურადღებას.

აღსანიშნავია, რომ სოჭის ტურნირი ჩატარდა კურორტ „ჟემჩუჟინას“ აუზში, რომელიც ზღვის წყლით მარაგდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ უარი უნდა ვთქვათ ზღვის პლაჟებზე, ვინაიდან ზღვაში ტურნირის მოწყობა დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული: სათამაშო არენის დამაგრება წყალზე მსაჯებისა და სათადარიგო მოთამაშეების, მწვრთნელებისა და მაყურებლის განთავსება და ა.შ.

**ჯ. უნბიაძე**

# ინფორმაცია

ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის 2001 წ. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსების შესახებ I სექტემბრის მდგომარეობით.

ქ. თბილისის მერიის 27.12.2000 წლის ბრძანების საფუძველზე სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის და განათლების სამმართველოს ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური. მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე სამსახურმა გარკვეული მუშაობა გასწია დედაქალაქში მასობრივ — სპორტული და ტურისტული მუშაობის მიმართულებით. მიუხედავად არსებული ფინანსური სიძნელეებისა, დედაქალაქის მერის ბატონ ი. ზოდელავას და მთავრობის ხელმძღვანელობის მცდელობით, დაფინანსდა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, როგორც ქ. თბილისის ჩემპიონატები ასევე სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები და საერთაშორისო სპორტული (ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატები) ასპარეზობები.

გამომდინარე იმ პრინციპიდან, რომ ყველამ უნდა იცოდეს თუ სად და რაში იხარჯება ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრები, ჩვენი სამსახური წარმოგიდგენთ ინფორმაციას 2001 წლის 1 სექტემბრამდე საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ: თანხა ნაჩვენებია ლარებში.

1. წლიური დამტკიცებული გეგმა — 3376,8 ათასი ლარი

— 8 თვის დაზუსტებული გეგმა — 2267,2 ათასი ლარი

— 8 თვეში გაწეული ფაქტიური ხარჯი — 2056,8 ათასი ლარი

— ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი — 91 %

— მათ შორის: სპეცპროგრამაზე (სპორტული ღონისძიებების დაფინანსება) — 721,3 ათასი ლარი

— სპორტული ბაზების კაპ. რემონტზე — 366,0 ათასი ლარი

— სპორტული სკოლების ხელფასები — 908,5 ათასი ლარი

— სხვა საქონელი და მომსახურება 60,2 ათასი ლარი

| სპორტის სახეობა | სპორტ. ღონისძ. რაოდ-ბა | თანხა ათას ლარებში |
|---|---|---|
| 1. ჩოგბურთი | 3 | 7.0 |
| 2. სპორტული ტანვარჯიში | 2 | 4.2 |
| 3. ჭადრაკი | 9 | 30.2 |
| 4. ფიგურული სრიალი | 2 | 8.9 |
| 5. მინი-კალათბურთი (სტრიტბოლი) | 1 | 3.0 |
| 6. მძლეოსნობა | 5 | 26.9 |
| 7. კრივი | 12 | 46.3 |
| 8. ბატუტზე ხტომა | 3 | 11.2 |
| 9. სპორტული აკრობატიკა | 1 | 1.4 |
| 10. ქართული ჭიდაობა | 3 | 7.0 |
| 11. კარატე — დო | 1 | 7.9 |
| 12. ძალოსნობა | 7 | 15.4 |
| 13. სამბო | 3 | 9.8 |
| 14. ხელბურთი | 3 | 41.2 |
| 15. ნიჩბოსნობა | 1 | 3.6 |
| 16. ბ/რ ჭიდაობა | 7 | 16.2 |
| 17. რაგბი | 3 | 6.1 |
| 18. ტაიკვანდო | 1 | 1.6 |
| 19. ცხენოსნობა | 1 | 0.8 |
| 20. მეკლდეურობა | 1 | 0.5 |
| 21. სინქრონული ცურვა | 1 | 0.8 |
| 22. ველოსპორტი | 4 | 5.4 |
| 23. წყალში ხტომა | 2 | 5.5 |
| 24. ბილიარდი | 1 | 2.3 |
| 25. კალათბურთი | 4 | 72.7 |
| 26. ალპინიზმი | 1 | 9.9 |
| 27. ფეხბურთი | 9 | 58.9 |
| 28. თავისუფალი ჭიდაობა | 4 | 18.2 |
| 29. წყალბურთი | 4 | 34.2 |
| 30. ძიუდო | 8 | 38.9 |
| 31. ფარიკაობა | 5 | 13.5 |
| 32. ცურვა | 5 | 15.0 |
| 33. მაგიდის ჩოგბურთი | 2 | 5.3 |
| 34. მხატვრული ტანვარჯიში | 2 | 6.4 |
| 35. მასობრივ-სპორტული გამაჯანსაღებელი ღონისძიება | 6 | 11.2 |
| 36. ტურისტული ღონისძიება | 3 | 21.8 |
| 37. სპორტსმენების და სპორტულ ფედერაციებზე ფინანს. დახმარება | 8 | 5.1 |
| 38. 2000 წელს ჩატარებული სპორტ. ღონისძ. ვალების დაფინანსება | 18 | 147.0 |
| სულ | 156 | 721.3 |

## კაპიტალური რემონტები

1. დიღუბის კომპლექსური სკოლა — 150,2 ათასი ლარი
2. ჭიდაობის სპორტული სკოლა — 20,0 ათასი ლარი
3. მინიფეხბურთის სკოლა „იმედი“ — 134,1 ათასი ლარი
4. სამსახურის ოფისი — 47,0 ათასი ლარი
5. საფეხბურთო სპორტული სკოლა „ავაზა“ — 15,0 ათასი ლარი
6. 35-ე საფეხბურთო სკოლა — 7,1 ათასი ლარი
7. ლისის ტბის სარეაბილიტაციო სამუშაოები — 9,9 ათასი ლარი
8. კუს ტბის წყალშემყვანი გვირაბის სარეაბ. სამუშ. — 28,0 ათასი ლარი
9. ქ. თბილისის რაიონებში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების კეთილმოწყობა — 14,3 ათასი ლარი
10. საციგურაო სპორტული სკოლა — 50,0 ათასი ლარი

**სულ: — 475,6 ათასი ლარი**

*შენიშვნა: სამსახურის რეორგანიზაციის დროს ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანების სპორტულ სკოლებს გადმოჰყვათ 1999-2000 წლებში ასანაზღაურებული კომინალური დავალიანებები, რომელიც შეადგენს 187,3 ათას ლარს. აღნიშნული დავალიანება არ იქნა გათვალისწინებული 2001 წ. ბიუჯეტში.*

**დავით ჭელიძე,**
სამსახურის უფროსი

# „ისან-სამგორში ძიუდოს მომავალი ოსტატები იზრდებიან“

## ამას უკვე სპეციალისტები აღიარებენ

მესამე წელიწადია ისან-სამგორის რაიონში ჭაბუკ ძიუდოისტთა ტურნირი ტარდება და სხვებთან ერთად, მომავალი ფალავნების ოსტატობას თვალს ადევნებენ ჩვენი ვეტერანები, რომელთა გამოცდილ მზერას არაფერი გამოეპარება. სწორედ ისინი ამბობენ სათაურში გამოტანილ სიტყვებს. ზედიზედ სამი წელიწადი რომ მოზარდს თვალს მიადევნებს, გამოცდილი სპეციალისტი არ შეცდება.

ამ კარგი ღონისძიების ორგანიზატორებს წლეულს უფრო მეტი ხელშემწყობნი დაუდგნენ გვერდით, ვიდრე ეს ადრე იყო. ესენი არიან: თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსი დავით ჭელიძე, მისი მოადგილე ვლადიმერ კანკავა, სპორტული განყოფილების უფროსი ლევან რაზმაძე, თბილისის ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ნუცუბიძე, სპორტული სკოლების დირექტორები ომარ იოსელიანი, თენგიზ მაჭარაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგეები ნინო მელაძე და ალექსანდრე ტატიშვილი, რაიონის გამგეობის თავმჯდომარე თ. ქურხული, მისი მოადგილე მ. გოჩალეიშვილი, ლ. ჩქარეული, და 95-ე საშუალო სკოლის ხელმძღვანელობა, სადაც ეს ასპარეზობა ჩატარდა. ორგანიზატორები კი იყვნენ რაიონში სპორტის კოორდინატორები ბონდო მირველაშვილი და მალხაზ აბრამიშვილი.

***ტექნიკური შედეგები: 30 კგ:*** 1. ლევან ოთიაშვილი, 2. ზეზვა არაბული, 3. ნიკა ქელეხიძე, ***34 კგ:*** 1. გიგა მაისურაძე, 2. ირაკლი კეკელია, 3. ირაკლი დანელია, ***38 კგ:*** 1. გიორგი მაისურაძე, 2. ბექან შარიქაძე, 3. ნიკა ხეთურიძე; ***42 კგ:*** 1. ირაკლი სვიმონიშვილი, 2. გიორგი გაბინაშვილი, 3. რომან მხითარიანი; ***46 კგ:*** 1. სამველ ელიანი, 2. ბაჩო ფირანიშვილი, 3. მიხეილ ანდრიაშვილი; ***50 კგ:*** 1. ზაზა ნახუცრიშვილი, 2. დავით დეკანოიძე, 3. გიორგი ამაჯანიანი; ***55 კგ:*** 1. ალექსანდრე ზაქაიძე, 2. სერგო გევორქიანი, 3. სევან აგაჯანიანი; ***60 კგ:*** 1. გოგიტა ჭიკაიძე, 2. დავით პაპიაშვილი, 3. ბესიკ ჭიკაიძე; ***60 კგ. ზევით:*** 1. მიხეილ ყიფშიძე, 2. გიორგი არდოტელი, 3. არმენ მურადიანი.

**ნინო ძავთარაძე**



*სურათზე: გამარჯვებულთა და პრიზიორთა ერთი ჯგუფი (რობერტ ბაგოიანის ფოტო)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონობა სიბერემდე



ამ დღეებში საფრანგეთის ქალაქმა ნიცამ საბრძოლო სამბოში პირველ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა, პარალელურად ჩატარდა ვეტერანთა მეათე მსოფლიო პირველობა.

საბრძოლო სამბოში საქართველოდან მონაწილეობდა თბილისელი გიორგი ჩხაიძე (74 კგ), რომელმაც 7 შეხვედრა ჩაატარა და ადრე მცირე ქვეყნების სამგზის, ორჯერ პანამერიკული თამაშების გამარჯვებულმა, ჭაბუკებში ევროპის მესამე და ახალგაზრდებში მსოფლიოს მეორე პრიზიორმა, ამჯერად თავის სპორტულ ნადავლს ვერცხლის მედალი შემატა. ვეტერანებშიც მხოლოდ თბილისელები: უშანგი ყურაშვილი (74), ბექან ბაგაშვილი (82), ზაურ სახვაძე (82), გიორგი ჩიტიშვილი (90), ანზორ ზურაბაული (100) და ოთარ ყურაშვილი (მძიმე) მონაწილეობდნენ.

***უშანგი ყურაშვილი*** ახლა უკვე მეოთხედ გახდა ვეტერანებში მსოფლიო ჩემპიონი. იგი არის აგრეთვე მცირე ქვეყნებისა და პანამერიკული თამაშების ჩემპიონი. ***ბექან ბაგაშვილი*** მესამე პრიზიორი გახდა. კვლავ გაიბრწყინა და ამჯერადაც მეტოქეებს ნამდვილ რისხვად მოევლინა ამ ჩემპიონატამდე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი და ერთხელ მეორე პრიზიორი, პანამერიკული თამაშების ორგზისა და ევროპის ჩემპიონი ***ზაურ სახვაძე,*** რომელმაც ახლა უკვე მეხუთედ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი. ოქროს მედალი მეოთხეჯერ მოიპოვა პანამერიკული თამაშების ორგზის გამარჯვებულმა და ევროპის ჩემპიონმა ***ანზორ ზურაბაულმა.*** მრისხანე მეტოქეებს ამჯერადაც ვაჟკაცურად გაუმკლავდა და ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო ***ოთარ ყურაშვილმა,*** რომლისთვის ეს უკვე რიგით მეხუთე მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალია. მანამდე ოთარი პანამერიკული თამაშების ჩემპიონიც იყო.

ჩვენი სპორტსმენები დიდ მადლობას უხდიან ყველას, ვინც დაეხმარა საფრანგეთში გამგზავრებაში, აგრეთვე საქართველოს სამბისტთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს ოლეგ იაძეს და მწვრთნელს ემილ რაშს, რომლებმაც ვეტერანების მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

„კაცური მადლობა მინდა გადავუხადო თანადგომისთვის შს მინისტრს კახა თარგამაძეს, თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს კახა ბაკურაძეს, მის მოადგილეს მიხეილ სალაძეს, ომონის უფროსს თემურ მღებრიშვილს, მოადგილეს რამაზ ქობელაშვილს, ქართული სპორტის ერთგულ ქველმოქმედს, ვეტერან სპორტსმენს ბადრი პატარკაციშვილს" — უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს ომონის თანამშრომელმა ზაურ სახვაძემ.

*სურათზე. მარცხნიდან: უ. ყურაშვილი, ო. ყურაშვილი, ა. ზურაბაული, ზ. სახვაძე, ბ. ბაგაშვილი, გ. ჩხაიძე და გ. ჩიტაშვილი.*

# ვინც თავდადებით შრომობს, დავაფასოთ!

**სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ხელმძღვანელობამ (თავმჯდომარე ბერდია გუგავა) მტკიცედ გადაწყვიტა, ყველა, ვინც ქართული სპორტის საკეთილდღეოდ მოღვაწეობს, ღირსეულად დააფასონ. ერთი ასეთი პიროვნება გახლავთ თავისუფალ მოჭიდავეთა თაობების აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი ბიჭიკო პაპაშვილი, რომელსაც ამ დღეებში დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.**

**ამაგდარი მწვრთნელის ღვაწლის დასაფასებლად „შევარდენმა" ღია ტურნირი მოაწყო, რომელშიაც 1986-87 წლებში დაბადებული თავისუფალი სტილის ჭიდაობის ახალგაზრდა ოსტატები მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.**

***კვარცხლბეკი***

***26 კგ:*** 1. დავით ეზიაშვილი, 2. ოთარ გოგავა (ორივე — ხონი), 3. კონსტანტინე გავაშელი (კაზრეთი); ***29 კგ:*** 1. ნიკო გრძელიშვილი (თბ), 2. გიორგი ახალაძე (ხონი), 3. თორნიკე ქვანია (ქუთ); ***32 კგ:*** 1. შოთა ფაჩუაშვილი (ხონი), 2. მალხაზ ჭიჭინაძე, 3. მიხეილ გოგელია (ორივე — თბ.); ***35 კგ:*** 1. მიხეილ არედიმანი (ხონი), 2. გიგა მწითური (თბ), 3. გიორგი გაბისიანი (ამბროლაური), ***38 კგ:*** 1. გიგა კოტორაშვილი (თბ), 2. გიორგი სანოძე, 3. რევაზ ჩაკვეტაძე (ორივე — ხონი); ***42 კგ:*** 1. მურთაზ კვესაძე (ქუთ), 2. ირაკლი დეკანოიძე, 3. ავთანდილ მეტრეველი (ორივე — თბ); ***47 კგ:*** 1. გიორგი თამაზაშვილი, 2. მათე პაიჭაშვილი, 3. გიორგი ფიცხელაური (სამივე — თბ); ***53 კგ:*** 1. თენგიზ ნაკაშიძე (ბათ), 2. ბექა ჭელიძე (თბ), 3. ლევან ასპანიძე (რუსთ); ***59 კგ:*** 1. მიხეილ მერაბიშვილი (რუსთ), 2. დავით მოძმანაშვილი, 3. ვაჟა სტურუა (ორივე — თბ); ***66 კგ:*** 1. შოთა ცოტაძე (ხონი), 2. ლაშა ქერაშვილი (თბ), 3. მალხაზ გოგოლაძე (ბათ); ***73 კგ:*** 1. ალექსანდრე მოძმანაშვილი, 2. ლაზარე მარსაგიშვილი (ორივე — თბ), 3. ელდარ ყიფიანი (ბათ); ***80 კგ:*** 1. ვახტანგ ბერაძე, 2. ერეკლე კამლაძე (ორივე — თბ), 3. პაატა ცინაძე (რუსთ); ***მძიმე:*** 1. გიორგი ნიკურაძე, 2. გიორგი ჯიმშელეიშვილი, 3. გიორგი ცაგურია (სამივე — თბ).



*ბიჭიკო პაპაშვილის საპატივცემულოდ გამართულ ტურნირში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ერთი ჯგუფი*

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

## მარათონი ლონდონში



მაროკოელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ხალიდ სკახმა მოიგო 16 კილომეტრიანი მარათონი ინგლისში, გადაუსწრო რა ფინიშთან კენიელ ჯორჯ ოკვოროს. მესამე იყო კიდევ ერთი კენიელი ჰილარი ლელეი. გამარჯვებულმა, რომელიც ახლა 34 წლისაა, ამ წარმატებით მიანიშნა, რომ კვლავ დაიბრუნა ძველი სპორტული ფორმა. „დადგა დრო, ხალხმა დაინახოს, რომ ისევ კონკურენტუნარიანი ვარ" — თქვა სკახმა.

ქალთა შორის წარმატება იზეიმა ტანზანელმა რესტიტა ჯოზეფმა.

## ბოლო ოქრო ესპანელს



**მსოფლიო ჩემპიონატი ჯგუფურ ველორბოლაში (254,1კგ) ლისაბონში ბრწყინვალედ მოიგო ესპანელმა ოსკარ ფრეირა გომესმა. მეორე ადგილზეა იტალიელი პაოლო ბეტინი, მესამეზე — სლოვენიელი ანდრეი გაუპტმანი. ლისაბონში სხვადასხვა დისტანციაზე გამართულ ამ ასპარეზობაში ვაჟთა და ქალთა, ახალგაზრდათა და იუნიორთა რბოლაში 50 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.**

## დღეს მატჩებს მოემსახურებიან...

**ჩემპიონთა ლიგა**

**A ჯგუფი**

**ლოკომოტივი — რომა: დიკ იოლი (ჰოლანდია)**
**ანდერლეხტი — რეალი: კნუდ ერიკ ფისკერი (დანია)**

**B ჯგუფი**

**ბორუსია — ბოავიშტა: სტეფანო ბრასკი (იტალია)**
**დინამო — ლივერპული: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)**

**C ჯგუფი**

**არსენალი — პანათინაიკოსი: ურს მაიერი (შვეიცარია)**
**მალიორკა — შალკე: იან ვეგერეფი (ჰოლანდია)**

**D ჯგუფი**

**ლაციო — პსჟ: ანტონიო ხესუს ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)**
**გალათასარაი — ნანტი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)**

## ნომრიდან ნომრამდე

● **ბელარუსის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ედვარდ მალოფეევმა გადაწყვიტა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან. მიზეზად სახელდება ის, რომ ამ ქვეყნის ნაკრებმა წარუმატებლად იასპარეზა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. ბოლო შეხვედრა ბელარუსებმა წააგეს უელსთან და მესამე ადგილს დასჯერდნენ. ასე რომ, ჩემპიონატის შესარჩევმა ციკლმა კიდევ ერთი მთავარი მწვრთნელი შეიწირა.**

● **კიშინიოვში** დასრულდა დსთ-ს ქვეყნების ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი ჟურნალისტთა შორის. პირველობა მოიპოვეს მოლდოველებმა, რომლებმაც ხუთივე მატჩი მოიგეს და 15 ქულა მოაგროვეს, მეორე იყო ბელარუსის — 7 ქულა, მესამე— სომხეთის — 6, მეოთხე — ვოლგოგრადის — 5, მეხუთე — ოდესის — 4, გაზეთ „სპორტ-ექსპრესის" გუნდი ბოლო მეექვსე ადგილზე გავიდა. მაგრამ მათი მეკარე ანატოლი მარტინოვი საუკეთესოდ აღიარეს.

● **გავრცელდა ინფორმაცია, რომ 59 წლის დინო ძოფმა, რომელიც ახლახან წავიდა რომის „ლაციოს" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან, განაცხადა, რომ სიამოვნებით იმუშავებდა შოტლანდიის ნაკრებში, თუნდაც საამისოდ მას ინგლისური ენის სასწრაფოდ შესწავლა დასჭირდეს. „ისევ მსურს დავბრუნდე დიდ ფეხბურთში, საინტერესოდ მეჩვენება მუშაობა შოტლანდიაში. თუმცა, ადვილი არ არის გადაბარგება უცხო ქვეყანაში, მე ამისთვის მაინც მზად ვარ" — თქვა ძოფმა რომში. შოტლანდიელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი კრეიგ ბრაუნი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დამთავრებისთანავე გადადგა.**

● **„ლივერპულის"** მთავარმა მწვრთნელმა ჟერარ ულიემ გულის ოპერაცია გაიკეთა და ახლა თავს კარგად გრძნობს. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი გასულ შაბათს პირდაპირ მატჩიდან წაიყვანეს საავადმყოფოში.

● **უეფა სიახლეს გეგმავს. მომზადებულია სამი პროექტი ნაკრებებისთვის ახალი შეჯიბრების ჩასატარებლად, რომელიც აამაღლებს ამხანაგურ შეხვედრათა ეფექტურობას. ეს პროექტები განიხილეს 51 ქვეყნის საფეხბურთო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა პრაღაში. ვარაუდობენ, რომ ახალი სისტემა სარგებლობას მოუტანს დაბალრეიტინგიან გუნდებს. პირველი პროექტი მიზნად ისახავს ნაკრებებისთვის „ეროვნებათა თასის" გათამაშებას სამწლიან ციკლში ევროპის ჩემპიონატის წინ, კიდევ ორი პროექტი კი ჯგუფური სისტემით შეხვედრებს ითვალისწინებს, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა მისი მიღება. უეფა და ეროვნული ფედერაციები ამ საკითხზე დისკუსიებს 2001 წლის ბოლოს დაიწყებენ.**

● **ბობანი** მიდის დიდი ფეხბურთიდან —. ამის შესახებ თავად განაცხადა მილანისა და ხორვატიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა. „მე უკვე 16 წელიწადია ფეხბურთს ვთამაშობ და არასოდეს ასე დიდხანს არ ვმჯდარვარ სათადარიგოთა სკამზე. ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი ფეხბურთში და 33 წლის ასაკში ახალს ველარაფერს ვიტყვი. მით უფრო, რომ მუხლის ქრონიკული დაავადება მაქვს. ახლა რაც მსურს, ესაა ახლოს ვიყო ჩემს ოჯახთან" — თქვა ცნობილმა ფეხბურთელმა. დავძენთ, რომ ბობანმა 51 მატჩი ჩაატარა ხორვატიის ნაკრებში და 12 გოლი გაიტანა. 1998 წელს მისმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

● **კახი კალაძემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მას აზრადაც არ მოსვლია დაეტოვებინა „მილანი". ამის თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია მან რამდენჯერმე უარყო „ესაა ექსტრაკლასის გუნდი, სადაც ჩემი მეგობარი თანამოაზრეები თამაშობენ, აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ, არავისთან უთანხმოება არ მომსვლია, წარუმატებლობის დროსაც კი მამხნევებენ და მეუბნებიან „ცხვირს ნუ ჩამოუშვებ, კალა" „არსადაც არ მივდივარ" — განუცხადა ჟურნალისტებს კახი კალაძემ.**

● **გიორგი ნემსაძე** სამი თვით გამოვიდა მწყობრიდან მუხლის ტრავმის გამო. შოტლანდიის „დანდის" ნახევარმცველი და საქართველოს ნაკრების კაპიტანი ამ დღეებში დაშავდა. „დანდის", რომელიც ახლა ქვეყნის ჩემპიონატში მე-7 ადგილზეა, სხვა ფეხბურთელებიც ჰყავს დაშავებული. კლუბი ახალი ფეხბურთელების ძიებაშიცაა, შეძენის უპირველეს კანდიდატად მიჩნეულია ჩინელი ფან ჟი.

## კაპრიატი პირველად გახდა №1

შვეიცარიელი მარტინა ჰინგისის 73 კვირიანი უცვლელი ლიდერობის შემდეგ ქალთა მსოფლიო საჩოგბურთო სამყაროს ახალი ფავორიტი მოევლინა. ესაა ამერიკელი ჯენიფერ კა-



*ჯენიფერ კაპრიატი*

პრიატი. ჰინგისი ალბათ კიდევ დიდხანს შემორჩებოდა რეიტინგის სათავეში, რომ არა ტრავმა, რომელიც მან გასულ კვირაში მიიღო გერმანიის გრან-პრის ტურნირში დევენპორტთან შეხვედრაში. ჰინგისი მოიხსნა ასპარეზობიდან და №1 ჩოგანის სახელიც დაკარგა.

**გაგაცნობთ 10 საუკეთესოს:**

1 (2) ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) – 4867 ქულა
2 (1) მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) – 4842
3 (3) ლინდსეი დევენპორტი (აშშ) – 4496
4 (4) ვინუს უილიამსი (აშშ) – 4333
5 (5) კიმ კლეისტერსი (ბელგია) 3280
6 (6) ამელი მორესმო (საფრანგეთი) – 2917
7 (7) ჟიუსტინ ენენი (ბელგია) – 2899
8 (8) მონიკა სელეში (აშშ) – 2672
9 (9) სერენა უილიამსი (აშშ) – 2501
10 (10) ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) – 2343

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ფრანკ დე ბური „რეინჯერსში"

**„ბარსელონის" მცველმა ფრანკ დე ბურმა უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ თითქოს მას თავის ძმასთან რონალდთან ერთად სურს ითამაშოს „გლაზგო რეინჯერსში". „არავითარი მოლაპარაკება სხვაგან გადასვლაზე არ მქონია, კარიერის ბოლომდე ვაპირებ დავრჩე ესპანეთში", — თქვა მან. ისე, ძმები ადრე ერთად თამაშობდნენ „აიაქსში" და „ბარსელონაში".**

### მძლეოსანს მედალი ჩამოართვეს

**200 მეტრზე რბენაში ექს-ჩემპიონი ამერიკელი ინგერ მილერი მხილებულია დოპინგის მიღებაში, რისთვისაც მას 1999 წელს იაპონიაში მსოფლიო ჩემპიონატში მოპოვებული ბრინჯაოს მედალი ჩამოერთვა. შემდეგ მან ოქროს მედალიც მოიპოვა სევილიაში გამართულ ტურნირში. მალე განიხილავენ ოქროს მედლის საკითხსაც.**

### ფეხბურთი

**ეროვნული ჩემპიონატები**

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| სუნდსვალი – გიოტებორგი | 1-0 |
| ელფსბორგი – ტრელებორგი | 2-0 |
| მალმიო – იორებრო | 1-3 |
| აიკ – ჰამარბი | 5-2 |



## „დინამო“(თბილისი) – „გურია“ (ლანჩხუთი) 1–1

*ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 13 ოქტომბერი.*

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა. XI ტური

**დინამო:** ზოიძე, სვანაძე (შავგულიძე 78), კანდელაკი, ვაშაკიძე, შამიაშვილი, სახვაძე, ამისულაშვილი (მანწკავა 56), ბურდული, დარასელია, გ. მიქაძე (მიკუჩაძე 46), ბობოხიძე.
**გურია:** გ. დოლიძე, ებრალიძე, ორბელაძე, გაბრიჭიძე, განევი, კაციაშვილი, სულაყაძე (პატარიძე 64), მარღიშვილი, ხუჭუა (ოდიკაძე 86), ფაცურია, ქ. მეტრეველი.
***გოლები:*** 1-0 ბურდული (18). 1-1 ქ. მეტრეველი (58).
***გაფრთხილება:*** კანდელაკი, პატარიძე, ქ. მეტრეველი;
***მსაჯი:*** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

# „გურიაზე“ ალალია

თუ გავითვალისწინებთ მეტოქეთა წინა ტურის შედეგებს, „დინამოს“ ფოთში გამარჯვებას და „გურიას“ შინაურ მარცხს „ვიტ-ჯორჯიასთან“, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს შეხვედრა ფრედ დასრულდებოდა. „დინამო“ მალე დაწინაურდა, მაგრამ ამას თითქოსდა ლოგიკური გაგრძელება ანუ სტუმრების რბევა არ მოჰყოლია. პირიქით, „გურია“ მასპინძელს მედგრად დაუდგა და შეუტია კიდეც. განსაკუთრებით ნათლად სტუმართა ზრახვები მეორე ტაიმში გამოჩნდა. კაციაშვილმა მოსვენება დაუკარგა სვანაძეს. მარცხენა ფლანგზე მისი ყოველი რეიდი მასპინძელთათვის ხიფათს მოასწავებდა და ერთ-ერთი მათგანი „დინამოს“ კარში გოლით დასრულდა. თანაგუნდელის ზუსტ პასს მეტრეველი დროულად გამოეხმაურა და თავურით ანგარიში გაათანაბრა. თბილისელები დარჩენილ დროში ბევრს ეცადნენ დაკარგული უპირატესობა დაებრუნებინათ, მაგრამ ვერ შეძლეს. „გურიამ“ წლეულს, ალბათ თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა, „დინამომ“ კი თითქმის წაგების ტოლფას ფრეს მიაღწია მხოლოდ. ეროვნულზე გურულების მიერ გახერხებული თანაფარდობა შეიძლება სენსაციად მივიჩნიოთ, თუმცა ფრე მასპინძელთა ზედმეტმა თავდაჯერებულობამ და კონკრეტულ მატჩში, იქნებ, სტუმართა მოჩვენებითმა სისუსტემაც განაპირობა.

**საბა ლომინაძე**



*დინამო (თბილისი) – გურია*

*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

## საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების გულშემატკივართა

# მიმართვა

## ბატონ ალექსანდრე ჩივაძეს

ბატონო ალექსანდრე,

ნაკრებში თქვენი დაბრუნების შემდეგ, ჩვენს ეროვნულ გუნდს აშკარად დაეტყო პროგრესი, რაზეც თვალნათლივ მეტყველებს თქვენი ხელმძღვანელობით ჩატარებული მატჩების შედეგები. გუნდი თამაშობს თანამედროვე გამართულ ფეხბურთს, რაც იმედით განაწყობს გულშემატკივრებს მომავლისათვის და გვჯერა, ასეთი თამაშით შესაძლებელია გარკვეული წარმატებების მიღწევა.

ნაკრების თავკაცის პოსტზე საჭიროა იყოს ისეთი ღირსეული და ავტორიტეტული პიროვნება, როგორიც თქვენ ბრძანდებით.

საქართველოს ეროვნული ნაკრების გულშემატკივართა სახელით, გთხოვთ შეცვალოთ თქვენი პირვანდელი გადაწყვეტილება და მომავალშიც უხელმძღვანელოთ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს.

**რ. მუჩიაშვილი, ქ. კოროშინაძე, ე. კავთიძე, ქ. სულაქველიძე, ვ. კვარაცხელია, ც. ვარამიშვილი, ე. აბუაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, რ. კეზევაძე, გ. ეძგეულიძე, ლ. აბესაძე, გ. კერვალიშვილი, პ. პეტრიაშვილი, მ. გუგულაშვილი, ა. სოხაძე, ნ. ბადაშვილი, გ. ბიწაძე, ჯ. არაბიძე, პ. ბუხნიკაშვილი, ნ. ჯღარკავა, ნ. ცანავა, ა. თინიკაშვილი, ე. თინიკაშვილი, ნ. ურიდია...**

**ვიტ-ჯორჯია — სიონი 1-0**
**მერანი — კოლხეთი1913 1-2**
**სამგურალი — ტორპედო 1-4**
**მეტალურგი — გორდა 2-1**
**დინამო (ბთ) — ლოკომოტივი (გადაიდო)**

**ტურის სხვა მატჩების ტექნიკურ შედეგებს (ოქმიდან ამოწერილს) „ლელოს“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ..**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 11 | 10 | 1 | 0 | 30-5 | 31 |
| ლოკომოტ, | 10 | 8 | 0 | 2 | 21-6 | 24 |
| მერანი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-17 | 19 |
| დინამო (ბთ) | 10 | 5 | 3 | 2 | 13-6 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 5 | 3 | 3 | 18-12 | 18 |
| დინამო (თბ) | 11 | 5 | 2 | 4 | 23-11 | 17 |
| კოლხ.1913 | 11 | 5 | 2 | 4 | 20-19 | 17 |
| სიონი | 11 | 3 | 2 | 6 | 7-18 | 11 |
| გურია | 11 | 1 | 5 | 5 | 7-16 | 8 |
| სამგურალი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-23 | 7 |
| მეტალურგი | 11 | 1 | 3 | 7 | 5-23 | 6 |
| გორდა | 11 | 1 | 3 | 7 | 9-23 | 6 |

# „გურია“ ამოტივტივდა, „გორდა“ ჩაიძირა

ტურის ცენტრალური მატჩი არ შედგა. ბათუმში წვიმის გამო „დინამო“ – „ლოკომოტივის“ შეხვედრა გადაიდო. „ტორპედომ“ მოიგო, იგი ისევ შეუჩერებელია. ქუთაისელთა უპირატესობა სულ უფრო იზრდება და გამონაკლისი, არც წყალტუბოში გამართული მატჩი იყო. ჩემპიონმა ადვილად მოიპოვა სამი ქულა და ეს არავის გააკვირვებია. „ვიტ ჯორჯიამ“ ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა და ახლა მესამე ადგილზე მყოფ „მერანთან“ მხოლოდ ქულა აშორებს. ავჭალელები შინაურ „სინათლეს“ დაუბრუნდნენ, კოლხებს უმასპინძლეს და მნიშვნელოვანი მატჩიც წააგეს. „კოლხეთი“, რომელიც წინა ტურში „ფაზისზე“ „დინამომ“ შეარცხვინა, ამჯერად სულაც არ იყო დათმობის ხასიათზე და არც არაფერი დაუთმია, „მერანს“ შეებრძოლა და მოუგო. ტურში აღსანიშნავია ჩემპიონატში ზესტაფონელთა პირველი გამარჯვება. იმერლებმა რუსთაველები „გამოიჭირეს“ და სატურნირო ცხრილის ფსკერზე ჩაძირეს. თბილისში „გურია“ ჩამობრძანდა და ლანჩხუთში ქულა წაიღო. ეროვნულზე მიღწეულმა ფრემ გურულებს ცოტათი ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ლიგიდან გასავარდნი ადგილები ახლა მათმა მეტოქეებმა დაიკავეს. კალენდრით გათვალისწინებული მატჩები გაიმართა, მაგრამ პირველი ეტაპის პირველი წრე, ჯერ არ დამთავრებულა.




## მერვედფინალის საპასუხო მატჩები

***16 ოქტომბერი***

დინამო2 (თბილისი) — დილა(გორი) (0-1)
ლოკომოტივი3 (თბილისი) — სიონი (ბოლნისი) (0-0)
ცხინვალი — გორდა (რუსთავი) (1-4)
მერანი2 (თბილისი) — მილანი (წნორი) (2-4)
ზოოვეტი (თბილისი) — მერანი (თბილისი) (0-4)
მაუდი (თბილისი) — თსუ (თბილისი) (0-7)
ლაზიკა (ზუგდიდი) — კოლხეთი1913 (ფოთი) (0-6)
სულორი (ვანი) — დინამო (ბათუმი) (0-8)
კოლხეთი2 (ფოთი) — გურია (ლანჩხუთი) (1-6)
კოლხეთი (ხობი) — სამგურალი (წყალტუბო) (0-1)
ლოკომოტივი (სამტრედია) — მეტალურგი (ზესტაფონი) (1-1)
თორი (ბორჯომი) — ქობულეთი (0-1)

***შენიშვნა:*** *მატჩები დაიწყება 16 საათზე: ფრჩხილებში მოცემულია პირველი შეხვედრების შედეგები.*



# პირველი ლიგა

## XI ტური

ლოკომოტივი (სამტრ) — თორი 2-1
ქობულეთი — კოლხეთი (ხ) 1-0
მილანი — დინამო2 (თბ) 1-0
ლოკომოტივი3 — მერანი2 2-0
თსუ — დილა 1-0
ლაზიკა — ცხინვალი 3-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 11 | 8 | 2 | 1 | 24-3 | 26 |
| მილანი | 11 | 7 | 3 | 1 | 24-7 | 24 |
| ქობულეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 11-6 | 23 |
| თსუ | 11 | 6 | 2 | 3 | 15-9 | 20 |
| დინამო2(თბ) | 11 | 5 | 1 | 5 | 11-11 | 16 |
| ლოკომ.3 | 11 | 4 | 4 | 3 | 18-15 | 16 |
| ცხინვალი | 11 | 4 | 2 | 5 | 18-16 | 14 |
| ლაზიკა | 11 | 3 | 3 | 5 | 12-21 | 12 |
| კოლხეთი (ხ) | 11 | 2 | 6 | 3 | 9-10 | 12 |
| ლოკ.(სამტ) | 11 | 2 | 3 | 6 | 9-18 | 9 |
| მერანი2 | 11 | 2 | 1 | 8 | 6-20 | 7 |
| თორი | 11 | 1 | 1 | 9 | 7-28 | 4 |

# რეგიონული ლიგა

## აღმოსავლეთის ზონა. IX ტური

ვარძია — თბილისი 3-1
ოლიმპიკი — გორდა2 2-1
ვიტ ჯორჯია2 — ალაზანი 2-3
ზოოვეტი — აკადემია 3-2
ივერია — მესხეთი 2-1
დინამო3 — ჯავახი 4-0
მცხეთა — ცხუმი 1-1
ლიახვი — ჭაბუკიანი 1-1
მაუდი — კრწანისი 2-0
მერანი3 — მრეტები 4-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 8 | 6 | 1 | 1 | 16-5 | 19 |
| ივერია | 8 | 6 | 1 | 1 | 24-11 | 19 |
| ალაზანი | 8 | 6 | 1 | 1 | 23-10 | 19 |
| ზოოვეტი | 7 | 6 | 0 | 1 | 17-5 | 18 |
| მაუდი | 7 | 5 | 1 | 1 | 10-4 | 16 |
| აკადემია | 8 | 4 | 2 | 2 | 14-7 | 14 |
| ვარძია | 8 | 4 | 2 | 2 | 10-5 | 14 |
| ვიტ ჯორჯია2 | 8 | 3 | 4 | 1 | 21-7 | 13 |
| გორდა2 | 8 | 3 | 2 | 3 | 14-8 | 11 |
| ოლიმპიკი | 7 | 3 | 2 | 2 | 12-8 | 11 |
| ლიახვი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-16 | 10 |
| ცხუმი | 8 | 2 | 3 | 3 | 12-9 | 9 |
| დინამო3 | 7 | 2 | 2 | 3 | 8-9 | 8 |
| ჭაბუკიანი | 7 | 1 | 5 | 1 | 8-6 | 8 |
| თბილისი | 8 | 2 | 1 | 5 | 11-15 | 7 |
| მესხეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-14 | 7 |
| მერანი 3 | 8 | 2 | 1 | 5 | 8-20 | 7 |
| კრწანისი | 8 | 1 | 1 | 6 | 8-23 | 4 |
| მრეტები | 7 | 0 | 1 | 6 | 6-17 | 1 |
| ჯავახი | 8 | 0 | 0 | 8 | 7-47 | 0 |

## დასავლეთის ზონა X ტური

საპოვნელა — მაღაროელი 2-1
ლუკა — გზები 0-2
სალხინო — ეგრისი 3-1
ჩიხურა — ოკრიბა 3-1
საირმე — დინამო (ზ) 0-1
სქური — მეტალურგი2 2-1
კოლხეთი2 — გურია2 2-1
ინტერი — სულორი 0-1
დინამო2 — სამეგრელო 3-1
მერცხალი — დინამო (სოხ) 3-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 10 | 9 | 1 | 0 | 22-4 | 28 |
| სულორი | 10 | 9 | 0 | 1 | 28-9 | 27 |
| დინამო (ზ) | 10 | 8 | 1 | 1 | 20-7 | 25 |
| გურია2 | 10 | 7 | 1 | 2 | 29-8 | 22 |
| სალხინო | 10 | 7 | 0 | 3 | 18-13 | 21 |
| საპოვნელა | 10 | 5 | 3 | 2 | 26-12 | 18 |
| კოლხეთი2 | 10 | 5 | 3 | 2 | 19-11 | 18 |
| მეტალურგი2 | 10 | 5 | 2 | 3 | 14-12 | 17 |
| ინტერი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-9 | 16 |
| სქური | 10 | 5 | 1 | 4 | 17-21 | 16 |
| მაღაროელი | 10 | 4 | 1 | 5 | 17-19 | 13 |
| ეგრისი | 10 | 4 | 1 | 5 | 19-21 | 13 |
| საირმე | 10 | 3 | 1 | 6 | 9-10 | 10 |
| სამეგრელო | 10 | 3 | 1 | 6 | 14-22 | 10 |
| გზები | 10 | 3 | 0 | 7 | 8-21 | 9 |
| დინამო2 (ბთ) | 10 | 2 | 2 | 6 | 7-12 | 8 |
| ჩიხურა | 10 | 2 | 1 | 7 | 9-25 | 7 |
| ლუკა | 10 | 2 | 0 | 8 | 9-27 | 6 |
| დინამო (სოხ) | 10 | 1 | 2 | 7 | 8-21 | 5 |
| ოკრიბა | 10 | 0 | 0 | 10 | 3-27 | 0 |

17 UEFA UNDER-17 Championship

# 17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**15 ოქტომბერი. „ლოკომოტივის“ სტადიონი**

## საქართველო 2
## ბოსნია-ჰერცოგოვინა 0

**საქართველო:** ჩალაძე, ბარაბაძე, კალაძე, ლ. ჭელიძე, მიქიაშვილი, ელიავა, კვახაძე, ხოჯავა (ფიფია, 58), ყველაშვილი (გ. ჭელიძე, 65), იაშვილი, კაპანაძე (ლონდაძე, 72).
**ბოსნია:** ბატიჩი, კეჩო, კოვაჩიჩი, ჩუტუკი, რეჯოვიჩი, ჰალილოვიჩი, ჯაკმიჩი (შვრაკა, 43), დერვიში (ჩოლპა 35), შაჰინი (ლიელიაკი, 73), დერვიჩი, მანდარიჩი.
***გოლები:*** 1-0, 2-0 იაშვილი (3,40)
***გაფრთხილება:*** იაშვილი, ჩუტუკი, შვრაკა.
***გააძევეს:*** ჩუტუკი.
***მსაჯი:*** ედგარ სორინ ალტმაიერი (რუმინეთი).

# უფროსების მაგალითით

მაგალითი გადამდებიაო, ეს ცუდზეა ნათქვამი, ჩვენთვის კი პირიქით მოხდა, საბედნიეროდ. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელს სანდრო იაშვილს ალბათ კარგად ახსოვდა ეროვნულ ნაკრებში სეხნიას, ალექსანდრე იაშვილის ჩინებული თამაში და მოსახელესა და მოგვარეს მანაც აუბა მხარი. შესანიშნავად გაისარჯა ყმაწვილი, ტყუილად არ ეიმედებოდა იგი ნაკრების თავკაცს კობა ჟორჟიკაშვილს. შეგირდმაც გაუმართლა ოსტატს. ტურნირამდე ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ მეტოქეებს არ იცნობდა, თუმცა, გუშინდელ შეხვედრაში მასპინძლებს არ გასჭირვებიათ უცნობი სტუმრის ძლევა. პირველივე წუთიდან გამოიკვეთა ქართველთა ტაქტიკური და ტექნიკური უპირატესობა და უკვე მესამე წუთზე სანდრომ კარგად ისარგებლა ბოსნიელი მცველებისა და მეკარის დაბნეულობით. გოლკიპერის უხეიროდ მოგერიებულ ბურთს დროულად დახვდა და დაუცველ კარში გადაგზავნა. გაშვებულმა გოლმა უფრო დააბნია სტუმრები, ხისტი თამაში თანდათან უხეშობაში გადაიზარდა და თუ მასპინძლები დაუზოგავ პაექრობაში მსაჯისაგან

იხ. მე-5 გვ.

ეროვნული

# უფროსების მაგალითით

UEFA UNDER-17 Championship

*(მეოთხე გვერდიდან)*

მხოლოდ ყვითელ ბარათს გამორჩნენ, სტუმრები ნამდვილად დაზარალდნენ. პირველი ტაიმის შუალედში, მათმა წამყვანმა მცველმა იოსიპ ჩუტუკმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და დატოვა მინდორი. თერთმეტმა ბოსნიელმა ვერაფერი დააკლო მასპინძლებს და კაცნაკლული რალას იზამდნენ. საქართველოს ნაკრები კარგად იყენებდა ფლანგებს, რამდენჯერმე ჩვენმა ფეხბურთელებმა პრესინგსაც მიმართეს და სტუმრებს, ფაქტობრივად, არათუ საგოლე მომენტი, ერთი ღირებული შეტევაც კი არ განახორციელებინეს. თავად კი გამუდმებით უტევდნენ. ერთ ეპიზოდში კაპანაძე საჯარიმოში მეკარეს წამოეპარა, ბურთი აართვა, მაგრამ მის დარტყმულს მცველები გადაეღობნენ და მეორე გოლი არ გაატანინეს მასპინძლებს. სახიფათო მომენტები ბოსნიელთა კართან ამით არ ამოწურულა, სოლო რეიდები, ჩინებული ტექნიკის დემონსტრირებით განახორციელეს იაშვილმა და ელიავამ, თუმცა ბოლო ფაზაში მათი დარტყმული ბურთი მცირედით სცილდებოდა მეტოქის კარს. მოსახდენი მაინც მოხდა. ტაიმის ბოლოს ისევ იაშვილმა იყოჩაღა და მეორე გოლი გაიტანა. მატჩის დასრულების შემდეგ იგი სამართლიანად აღიარეს საუკეთესო ფეხბურთელად და პრიზიც გადასცეს.

მეორე ტაიმში თითქოს კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო ჩვენი უპირატესობა, მაგრამ ასე არ მოხდა. ერთ ეპიზოდში, 74-ე წუთზე, ახლა მასპინძლები გადაურჩნენ აშკარა გოლს. სტუმართა ერთადერთი სახიფათო მომენტი ჩვენთვის კინაღამ ფატალურად დამთავრდა, მაგრამ მოგეხსენებათ, „კინაღამ" არ ითვლება. საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა, ტურნირი მოგებით დაიწყო და ახლა ხვალინდელი მატჩის მოლოდინშია. კიდევ ერთ ჩვენს მეტოქეს, ისრაელის ნაკრებს გავიცნობთ ამჯერად, ალბათ, ებრაელთა ნაკრები ბოსნიაზე უკეთესია და ისიც მოიგებს თავის პირველ მატჩს, თუმცა ნუ ავჩქარდებით, ბურთი მრგვალია და ვის მხარეს უკეთ გაგორდება, არავინ იცის. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მე-10 ჯგუფში კი პირველი დღის მატჩის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ისრაელი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

# ჯუმბერ ჩუხუას თასი „ლოკომოტივს"

ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელის ჯუმბერ ჩუხუას სახელობის თასის გათამაშება მეორედ მოეწყო. მემორიალის გამართვის ინიციატორია საფეხბურთო კლუბი „ვაკე-91 – ვიტ ჯორჯია". ტურნირში მონაწილეობდნენ 1991 წელს დაბადებული ბავშვები. ფინალში „ლოკომოტივმა" (მწვრთნელი ვახტანგ ჩოჩიშვილი) დიდი უპირატესობით, 4-0 მოუგო მასპინძლებს ვაკე-91-ის გუნდს და თასს დაეუფლა. საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მიიღო თორნიკე ერაძემ (ვაკე-91). გამარჯვებულ გუნდს თასი გადასცა ჯუმბერ ჩუხუას ქალიშვილმა. ტურნირი ტრადიციულია და შემდგომშიც ჩატარდება.




ტურნირში გამარჯვებული „ლოკომოტივის" გუნდი

# თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. ვინ გაიტანა პირველი ბურთი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ევროპის ზონაში:***
ა) რეიმი
ბ) ოპერი
გ) ზემლინსკი

***2. საქართველოს ნაკრებიდან ვინ ითამაშა ყველა შეხვედრა შეუცვლელად:***
ა). ზ. ხიზანიშვილი
ბ) ლ. კობიაშვილი
გ) ქ. კალაძე

***3. რომელმა ნაკრებმა გაიტანა ყველაზე მეტი ბურთი ამ შესარჩევ ეტაპზე:***
ა) ჰოლანდია
ბ) ბელგია
გ) პორტუგალია

***4. რამდენმა ნაკრებმა გაიარა ეს შესარჩევი ეტაპი დაუმარცხებლად:***
ა) 5
ბ) 8
ბ) 10

***5. რამდენმა ნაკრებმა ვერ შეძლო ვერც ერთი ქულის მოპოვება ამ შესარჩევ ეტაპზე:***
ა) 2
ბ) 3
გ) 4

„ლელო" №79-ის ნომრის პასუხები
1 – ბ, 2 – გ, 3 – ბ, 4 – გ, 5 – გ.

# რას გადაურჩნენ ფეხბურთელები?!

**XX საუკუნის დასასრულს და 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა გაგვახსენა ტერაქტის ჩატარების ადრინდელი მცდელობა, რომელიც იგეგმებოდა 1990 წლის იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ.**

რიგით XIX მსოფლიო ჩემპიონატი საბჭოთა ნაკრებისთვის ბოლო და უკანასკნელი აღმოჩნდა, რადგან ერთი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი მთლიანად დაიშალა და ისტორიის კუთვნილება გახდა.

ფეხბურთის გულშემატკივრებმა აღნიშნული ჩემპიონატის გარშემო თითქმის ყველაფერი იცოდნენ. იცოდნენ, თუ როგორ სუსტად გამოვიდა იქ საბერძნეთის ნაკრები, მაგრამ აბსოლუტურად არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, თუ რას გადაურჩნენ ფეხბურთელები, მათი მწვრთნელები და ნაკრების ხელმძღვანელები. საქმის კურსში იყვნენ მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის სპეცსამსახურების ძალზე შეზღუდული წრის წარმომადგენლები, რომლებმაც იცოდნენ, თუ როგორ უნდა გაენადგურებინათ პალესტინელ ტერორისტებს საბჭოთა ნაკრების წევრები.

ყოველივე ზემოაღნიშნული მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი, როდესაც ყოფილი საკავშირო სუკ-ის დახურული არქივები გაიხსნა და გრიფით „სრულიად საიდუმლოდ" მასალების გაცნობის შესაძლებლობა გაჩნდა. აი, რას გვამცნობდა იმ დროს გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტი" (№51-52, 1992 წ. 20 დეკემბერი):

1990 წლის 2 მაისს, როდესაც კიევის „დინამომ" (საბჭოთა კავშირის ძირითად ბირთვს ამ კლუბის ფეხბურთელები შეადგენდნენ – *გ.ჩ.*) მოსკოვში საკავშირო თასის გათამაშების ფინალური მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივს" მოუგო და თასი დაისაკუთრა. იმავდროულად იტალიის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელობამ მიიღო ტელეგრამა-შეტყობინება, რომლის შინაარსი გარკვეული დროის მანძილზე რატომღაც დაუჯერებლად ჩათვალეს და შესაბამისად უყურადღებოდ დატოვეს.

იტალიის სიუს-ის (სამხედრო ინფორმაციისა და უშიშროების სამსახური – *გ.ჩ.*) აგენტი ბეირუთიდან იტყობინებოდა, რომ პალესტინელი ტერორისტების ჯგუფებს აბუ ნიდალის და ჯებრილის მეთაურობით, განზრახული აქვთ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ფეხბურთელების გამოსვლისას მოაწყონ თავდასხმა და მათი სრული განადგურება მოახდინონ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სპორტულ თამაშებზე ტერორისტული აქტის ჩატარების პრეცედენტი ადრეც იყო, როდესაც აბუ ნიდალის და ჯებრილის ტერორისტულმა ჯგუფებმა 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დროს სისხლიანი სასაკლაო მოაწყვეს, რის შედეგადაც ოლიმპიურ სოფელში ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ასე რომ, ანალოგიური ქმედებების განმეორებისადმი გარკვეული შიშის გრძნობა არსებობდა.

რა იყო პალესტინელთა მხრიდან საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ მოსალოდნელი ტერორისტული აქტის ჩატარების მთავარი მიზეზი? საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლების სათავეში მ. გორბაჩოვის მოსვლისთანავე, თავისუფლად და თანაც განუსაზღვრელი რაოდენობით დაიწყო ებრაელთა ემიგრაცია საბჭოთა კავშირიდან ისრაელში, რომლის ხელმძღვანელობამ ემიგრანტების დასახლება დაიწყო პალესტინელთა კუთვნილ მიწებზე, რაც თავის მხრივ იწვევდა პალესტინელთა უკმაყოფილებას და პროტესტს...

იტალიის კონტრდაზვერვამ ტუნისში და კვიპროსში მყოფ თავის აგენტებს დაავალა დაუყოვნებლივ გადაემოწმებინათ ბეირუთიდან მიღებული ინფორმაციის სისწორე. სულ მალე აგენტებმა დაადასტურეს, ბეირუთის წყაროს ინფორმაციის უტყუარობა, რის შემდეგ იტალიის სიუს-ის იმჟამინდელმა შეფმა, ადმირალმა ფულვიო მარტინიმ შექმნილი სიტუაცია იმდენად საშიშად ჩათვალა, რომ თავისი ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველაფერი სასწრაფოდ ეცნობებინათ საკავშირო სუკ-ის მთავარი სამმართველოს რომის რეზიდენტურისათვის. ამის შემდეგ, 1990 წლის მაისის შუა რიცხვებში მოხდა სიუს-ის და სუკ-ის წარმომადგენლებს შორის უპრეცედენტო შეხვედრა.

სიუს-ის და სუკ-ის წარმომადგენლების პირველსავე შეხვედრაზე ინფორმაციათა ურთიერთგაცვლის შედეგად მიაღწიეს შეთანხმებას ერთმანეთში ფუნქციების განაწილების შესახებ. სიუს-მა თავის თავზე აიღო იტალიის ტერიტორიაზე საბჭოთა ნაკრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხოლო სუკ-მა იტალიელებს გადასცა პალესტინელ ტერორისტთა დიდი ჯგუფის ფოტოსურათებიანი ალბომი, აგრეთვე ალჟირის, ლივიის და ირანის პასპორტების ნომრები, რომლებითაც ტერორისტებს შეეძლოთ იტალიის ტერიტორიაზე შესვლა.

აქ საინტერესო ის არის, რომ სუკ-ისთვის პალესტინელ ტერორისტთა ფოტოალბომის და მათზე დაწვრილებითი საინფორმაციო ცნობების მომზადება, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან პალესტინელი ბოევიკების იგივე მომავალი ტერორისტების დიდმა რაოდენობამ ადრე სწავლება სწორედ სუკ-ის ბაზებზე და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ტერორისტთა მომზადების ცენტრებში გაიარეს.

სიუს-ის და სუკ-ის ოფიცრების შეხვედრის შემდეგ, საბჭოთა ნაკრების ყოველგვარი გადაადგილება და მისი თითოეული წევრის ნაბიჯი გულდასმით მოწმდებოდა.

იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, 1990 წლის 16 მაისს საბჭოთა ნაკრები თელ-ავივში ამხანაგურ მატჩში ისრაელის ნაკრებს შეხვდა. სხვათა შორის, ეს იყო ორი ქვეყნის ფეხბურთელთა პირველი შეხვედრა თოთხმეტი წლის შემდეგ.

თელ-ავივის სტადიონზე, სადაც 50 ათასი მაყურებელი შეიკრიბა, საბჭოთა ნაკრები შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა: ჩანოვი, შმატოვალენკო, ცვეიბა (ხიდიატულინი, 46 წთ), კუზნეცოვი, დემიანენკო, რაცი, მიხაილიჩენკო (ფოკინი, 76 წთ), ლიტოვჩენკო, იარემჩუკი (ზიგმანტოვიჩი, 46 წთ), პროტასოვი, შმაროვი. როგორც ცნობილია, ეს მატჩი საბჭოთა ნაკრებმა ანგარიშით 2-3 წააგო, რომლის შესახებ იმჟამინდელი საბჭოური პრესა აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ნაკრებმა ამ თამაშში ბოლომდე არ გამოამჟღავნა თავისი ზრახვები და თავისი პოტენციური შესაძლებლობების მესამედი არ აჩვენა, რომ ლობანოვსკის მიზანი იყო სხვა დაინტერესებული მწვრთნელების სიფხიზლე მოედუნებინა და ისინი შეცდომაში შეეყვანა, რომ ნაკრები ექსპერიმენტული შემადგენლობით გამოდიოდა, რომ ფეხბურთელებს პრაქტიკულად ერთად არ უთამაშიათ და ა.შ. აქ კომენტარების გაკეთება ზედმეტია, რადგან ნაკრების ძირითადი ბირთვი ხომ კიევის „დინამო" იყო...

ასე იყო თუ ისე, საბჭოთა ფეხბურთელებს ისრაელის მთელ ტერიტორიაზე უშიშროების სამსახურის თანამშრომლები გაძლიერებულად იცავდნენ. ამის შემდეგ ისრაელის დაზვერვის სამსახურმა საბჭოთა ნაკრები მთლიანად და უვნებლად „გადაულოცა" თავიანთ კოლეგებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, სადაც საბჭოთა ფეხბურთელებმა თავიანთი შემდგომი მზადება გააგრძელეს...

1990 წლის 4 ივნისს „ტუ-134" თვითმფრინავით საბჭოთა ფეხბურთელთა დელეგაცია 40 კაცის შემადგენლობით იტალიაში გაფრინდა.

პიზის აეროპორტში ჩაფრენისთანავე საქმეში ჩაერთვნენ იტალიის კონტრდაზვერვის სამსახურები, რომლებიც მჭიდროდ მოქმედებდნენ ადგილობრივ პოლიციასთან და კარაბინერებთან. როგორც კი სადმე გამოჩნდებოდნენ საბჭოთა ფეხბურთელები, მათ შეიარაღებული თანამშრომლები თან დაყვებოდნენ და იცავდნენ ყველგან. ყველა გულშემატკივარი, სტუმარი, თუ სხვა ხალხი, რომლებიც ფეხბურთელებთან დადიოდნენ, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ისინი იტალიის კონტრდაზვერვის მეთვალყურეობის და კონტროლის ქვეშ იყვნენ.

მოსალოდნელი ტერორის შესახებ არაფერი იცოდნენ არა მარტო ფეხბურთელებმა, არამედ მათმა ხელმძღვანელებმაც, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ, ნაკრები გუნდის უფროსმა ნ. სიმონიანმა და საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ და ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ვ. კოლოსკოვმა.

ამბობენ, რომ იყო ტერორის ჩატარების მცდელობები, მაგრამ მათ შესახებ ცნობები იტალიის სამხედრო ინფორმაციის და უსაფრთხოების სამსახურის საიდუმლო საქაღალდეებში ინახება. სიუს-ის წარმომადგენლებმა სარწმუნო წყაროებიდან გამომდინარე, არა მარტო არ დაუშვეს სუკ-ის ფოტოალბომში დაფიქსირებული ზოგიერთი პალესტინელი ტერორისტის იტალიაში ჩასვლა, არამედ ზოგზოგები კიდევაც დააპატიმრეს. ეს ის ხალხი იყო, რომლებმაც მაინც მოახერხეს იტალიის საზღვრებზე აღმართული ბარიერების გადალახვა და ქვეყანაში შეღწევა.

საბჭოთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ქვეჯგუფში გამოდიოდა არგენტინის, კამერუნის და რუმინეთის ნაკრებებთან ერთად. საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველი მატჩი რუმინელებთან წააგეს ანგარიშით 0-2. მეორე თამაშიც არგენტინელებთან იგივე ანგარიშით 0-2 დათმეს. მიუხედავად იმისა, რომ ლობანოვსკის გუნდმა, ბოლო თამაშში კამერუნის ნაკრებს 4-0 მოუგო, საბჭოთა ფეხბურთელებმა ქვეჯგუფში ბოლო, მეოთხე ადგილი დაიკავეს და მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომ ეტაპზე ვერ გავიდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ იტალიის კონტრდაზვერვამ თავისუფლად ამოისუნთქა, რადგან საბჭოთა ნაკრებს იტალია ნაადრევად უნდა დაეტოვებინა და შინ გამომგზავრებულიყო, რაც სასწრაფოდ და ოპერატიულად შესრულდა კიდეც. სწორედ საბჭოთა ნაკრების ასეთ სამარცხვინო გამოსვლას მიუძღვნა თავისი წერილი – „აილე შინელი და წავიდეთ შინ", ცნობილმა ჟურნალისტმა ოლეგ კუჩერენკომ (გაზეთი „სოვეტსკი სპორტ" №136, 1990 წლის 15 ივნისი).

ასე იყო თუ ისე, საბჭოთა ნაკრები გადაურჩა პალესტინელი ტერორისტების შურისძიებას.

**ბურამ ჩხიკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## გერმანია

მიუნხენი — ბაიერნი 1-5
შტუტგარტი — შალკე 3-0
კოტბუსი — ლევერკუზენი 2-3
ფრაიბურგი — სტ. პაული 2-2
ჰამბურგი — ჰერტა4-0
კაიზერსლაუტერნი — ჰანზა 3-1
მიონხენგლადბახი — დორტმუნდი 1-2
ვერდერი — ნიურნბერგი 3-0
კიოლნი — ვოლფსბურგი 0-4

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტ. | 9 | 8 | 0 | 1 | 23-10 | 24 |
| ბაიერნი | 9 | 7 | 1 | 1 | 21-3 | 22 |
| ლევერკუზენი | 9 | 6 | 3 | 0 | 21-10 | 21 |
| დორტმუნდი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-6 | 19 |
| შტუტგარტი | 9 | 4 | 3 | 2 | 11-9 | 15 |
| ვერდერი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-11 | 14 |
| შალკე | 9 | 4 | 2 | 3 | 11-12 | 14 |
| კოტბუსი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-16 | 11 |
| ჰერტა | 9 | 3 | 2 | 4 | 11-15 | 11 |
| მიუნხენი | 9 | 3 | 2 | 4 | 11-18 | 11 |
| ჰამბურგი | 9 | 2 | 3 | 4 | 13-14 | 9 |
| ფრაიბურგი | 9 | 2 | 3 | 4 | 11-14 | 9 |
| ვოლფსბურგი | 9 | 2 | 3 | 4 | 13-15 | 9 |
| მიონხენგლადბ. | 9 | 2 | 3 | 4 | 11-12 | 9 |
| კიოლნი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-15 | 8 |
| ნიურნბერგი | 9 | 2 | 1 | 6 | 6-14 | 7 |
| ჰანზა | 9 | 1 | 3 | 5 | 7-16 | 6 |
| სტ. პაული | 9 | 0 | 4 | 5 | 7-15 | 4 |

## ინგლისი

ლივერპული — ლიდსი 1-1
ბოლტონი — ნიუკასლი 0-4
ჩარლტონი — მიდლსბრო 0-0
ჩელსი — ლესტერი 2-0
იფსვიჩი — ევერტონი 0-0
საუთჰემპტონი — არსენალი 0-2
სანდერლენდი — მანჩესტერი 1-3
ბლექბერნი — ვესტ ჰემი 7-1
ასტონ ვილა — ფულემი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 8 | 5 | 3 | 0 | 12-3 | 18 |
| არსენალი | 8 | 5 | 2 | 1 | 18-5 | 17 |
| მანჩესტერი | 8 | 5 | 2 | 1 | 25-14 | 17 |
| ასტონ ვილა | 7 | 4 | 3 | 0 | 11-3 | 15 |
| ნიუკასლი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-11 | 14 |
| ჩელსი | 7 | 3 | 4 | 0 | 12-7 | 13 |
| ლივერპული | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 13 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 15-11 | 12 |
| ბოლტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 10-10 | 12 |
| სანდერლენდი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-10 | 12 |
| ევერტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-10 | 11 |
| ჩარლტონი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| ტოტენჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-13 | 8 |
| მიდლსბრო | 9 | 2 | 2 | 5 | 8-17 | 8 |
| ფულემი | 8 | 1 | 4 | 3 | 7-10 | 7 |
| იფსვიჩი | 8 | 1 | 3 | 4 | 6-11 | 6 |
| საუთჰემპტონი | 7 | 2 | 0 | 5 | 5-12 | 6 |
| დერბი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-12 | 5 |
| ვესტ ჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-16 | 5 |
| ლესტერი | 9 | 1 | 2 | 6 | 5-19 | 5 |

## იტალია

ლაციო — ატალანტა 2-0
პერუჯა — რომა 0-0
ბრეშა — კიევო 2-2
იუვენტუსი — ტორინო 3-3
ლეჩე — ფიორენტინა 4-1
მილანი — ვენეცია 1-1
პარმა — პიაჩენცა 2-2
ვერონა — ბოლონია 0-1
უდინეზე — ინტერი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-5 | 14 |
| კიევო | 6 | 4 | 1 | 1 | 14-8 | 13 |
| ბოლონია | 6 | 4 | 0 | 2 | 4-3 | 12 |
| იუვენტუსი | 6 | 3 | 2 | 1 | 12-7 | 11 |
| მილანი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-9 | 11 |
| ლეჩე | 6 | 2 | 3 | 1 | 9-6 | 9 |
| რომა | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| პიაჩენცა | 6 | 2 | 2 | 2 | 11-10 | 8 |
| ვერონა | 6 | 2 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| ბრეშა | 6 | 1 | 4 | 1 | 11-10 | 7 |
| პარმა | 6 | 1 | 4 | 1 | 6-6 | 7 |
| ლაციო | 6 | 1 | 4 | 1 | 3-3 | 7 |
| უდინეზე | 6 | 1 | 3 | 2 | 8-9 | 6 |
| პერუჯა | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 |
| ფიორენტინა | 6 | 2 | 0 | 4 | 10-15 | 6 |
| ატალანტა | 6 | 1 | 1 | 4 | 5-11 | 4 |
| ტორინო | 6 | 0 | 3 | 3 | 7-12 | 3 |
| ვენეცია | 6 | 0 | 1 | 5 | 3-12 | 1 |

## ესპანეთი

ბარსელონა — ვალენსია 2-2
სარაგოსა — დეპორტივო 1-2
სევილია — მალიორკა 2-2
ალავესი — რეალი 0-0
ლას პალმასი — ესპანიოლი 2-0
ბილბაო — ვალიადოლიდი 1-4
ვილიარეალი— მალაგა 1-2
რაიო ვალეკანო — სოსიედადი 2-1
ოსასუნა — ტენერიფე 0-2
სელტა — ბეტისი 3-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 8 | 5 | 2 | 1 | 16-9 | 17 |
| სელტა | 8 | 4 | 4 | 0 | 16-6 | 16 |
| ბეტისი | 8 | 5 | 1 | 2 | 12-7 | 16 |
| ბარსელონა | 8 | 4 | 3 | 1 | 13-6 | 15 |
| ვალენსია | 8 | 3 | 5 | 0 | 9-6 | 14 |
| ვილიარეალი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-7 | 13 |
| ალავესი | 8 | 3 | 3 | 2 | 7-4 | 12 |
| სევილია | 8 | 3 | 3 | 2 | 14-12 | 12 |
| სარაგოსა | 8 | 3 | 2 | 3 | 9-9 | 11 |
| ვალიადოლიდი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-12 | 11 |
| ბილბაო | 8 | 3 | 2 | 3 | 10-12 | 11 |
| ოსასუნა | 8 | 3 | 2 | 3 | 4-9 | 11 |
| ლას პალმასი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-6 | 10 |
| ტენერიფე | 8 | 3 | 1 | 4 | 7-10 | 10 |
| ესპანიოლი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-15 | 10 |
| რეალი | 8 | 2 | 3 | 3 | 13-12 | 9 |
| მალაგა | 8 | 2 | 3 | 3 | 10-11 | 9 |
| მალიორკა | 8 | 1 | 2 | 5 | 3-12 | 5 |
| რაიო ვალეკანო | 8 | 1 | 1 | 6 | 8-15 | 4 |
| სოსიედადი | 8 | 0 | 2 | 6 | 7-16 | 2 |



ალავესი — რეალი

## საფრანგეთი

მეცი — მარსელი 0-2
ოსერი — ტრუა 1-3
ლილი — ნანტი 1-0
ლორიანი — ლანსი 2-3
მონაკო — სედანი 2-0
მონპელიე — ბორდო 0-0
რენი — გენგამი 2-1
სოშო — ბასტია 4-1
პსჟ — ლიონი 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 10 | 6 | 4 | 0 | 12-5 | 22 |
| ლანსი | 10 | 6 | 3 | 1 | 17-10 | 21 |
| ლიონი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-8 | 20 |
| ოსერი | 10 | 5 | 4 | 1 | 16-9 | 19 |
| სოშო | 10 | 5 | 3 | 2 | 18-12 | 18 |
| ბორდო | 10 | 3 | 5 | 2 | 6-4 | 14 |
| ტრუა | 10 | 4 | 2 | 4 | 11-10 | 14 |
| პსჟ | 10 | 2 | 7 | 1 | 12-9 | 13 |
| ბასტია | 10 | 4 | 1 | 5 | 9-12 | 13 |
| მონაკო | 10 | 3 | 3 | 4 | 9-9 | 12 |
| ლორიანი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-14 | 12 |
| გენგამი | 10 | 3 | 2 | 5 | 7-14 | 11 |
| რენი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-19 | 11 |
| მარსელი | 10 | 2 | 4 | 4 | 6-7 | 10 |
| მეცი | 10 | 3 | 1 | 6 | 6-11 | 10 |
| მონპელიე | 10 | 1 | 6 | 3 | 6-7 | 9 |
| სედანი | 10 | 1 | 5 | 4 | 8-14 | 8 |
| ნანტი | 10 | 0 | 3 | 7 | 4-15 | 3 |

## პორტუგალია

გიმარაეში — ბოავიშტა 2-0
ბრაგა — სპორტინგი 2-1
ლეირია — ბენფიკა 1-1
სანტა კლარა — ფერეირა 1-1
პორტუ — სალგეირუში3-0
ალვერკა — სეტუბალი 1-1
ჟილ ვისენტე — ვარზიმი 1-0
ფარენსე — მარიტიმუ 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 9 | 6 | 1 | 2 | 15-8 | 19 |
| პორტუ | 8 | 5 | 1 | 2 | 16-5 | 16 |
| ბენფიკა | 8 | 3 | 5 | 0 | 15-11 | 14 |
| სპორტინგი | 8 | 4 | 1 | 3 | 14-9 | 13 |
| გიმარაეში | 8 | 4 | 1 | 3 | 9-12 | 13 |
| მარიტიმუ | 8 | 4 | 0 | 4 | 13-11 | 12 |
| ბრაგა | 8 | 3 | 2 | 3 | 14-6 | 11 |
| ჟილ ვისენტე | 8 | 3 | 2 | 3 | 8-10 | 11 |
| ფარენსე | 8 | 3 | 2 | 3 | 8-11 | 11 |
| ბელენენსეში | 7 | 3 | 1 | 3 | 11-8 | 10 |
| სეტუბალი | 8 | 3 | 1 | 4 | 13-12 | 10 |
| ლეირია | 8 | 2 | 4 | 2 | 8-8 | 10 |
| ალვერკა | 8 | 3 | 1 | 4 | 11-15 | 10 |
| ბეირა მარი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-12 | 9 |
| სანტა კლარა | 9 | 2 | 3 | 4 | 8-15 | 9 |
| ფერეირა | 8 | 1 | 5 | 2 | 8-8 | 8 |
| სალგეირუში | 8 | 2 | 1 | 5 | 5-15 | 7 |
| ვარზიმი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-18 | 5 |

## ჰოლანდია

როდა — პსვ 0-1
სიტარდი — სპარტა 3-4
ვალვაიკი — აიაქსი 0-2
ჰერენვენი — ალკმაარი 2-1
ნაიმეგენი — ვიტესი 1-0
ბრედა — დენ ბოსხი 0-0
ფეიენოორდი — გრონინგენი 1-0
უტრეხტი — ტილბურგი 3-1
გრაფსხაპი — ტვენტე 4-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 8 | 7 | 1 | 0 | 20-3 | 22 |
| ფეიენოორდი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-2 | 16 |
| ვიტესი | 8 | 4 | 3 | 1 | 8-3 | 15 |
| უტრეხტი | 9 | 5 | 0 | 4 | 15-11 | 15 |
| ჰერენვენი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-7 | 14 |
| ვალვაიკი | 9 | 4 | 1 | 4 | 10-7 | 13 |
| გრააფსხაპი | 9 | 4 | 1 | 4 | 14-13 | 13 |
| ტილბურგი | 8 | 3 | 3 | 2 | 2-10 | 12 |
| დენ ბოსხი | 9 | 2 | 5 | 2 | 11-10 | 11 |
| ალკმაარი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-11 | 11 |
| პსვ | 9 | 3 | 2 | 4 | 12-16 | 11 |
| ბრედა | 8 | 3 | 2 | 3 | 11-15 | 11 |
| ნაიმეგენი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-16 | 11 |
| სპარტა | 9 | 2 | 4 | 3 | 10-18 | 10 |
| ტვენტე | 8 | 2 | 3 | 3 | 10-13 | 9 |
| გრონინგენი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-15 | 7 |
| სიტარდი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-17 | 5 |
| როდა | 9 | 1 | 1 | 7 | 7-17 | 4 |



ლილი — ნანტი

## ბელგია

შარლერუა — ლუვიე 2-1
სტანდარდი — ანტვერპენი 4-2
მოლენბეკი — ბევერენი 3-0
სტ. ტრუიდენი — ლოკერენი 1-
მუსკრონი— ვესტერლო 1-2
გენტი— გენკი 0-0
ლომელი — ანდერლეხტი 2-2
ბეერსხოტი — ბრიუგე 1-2
აალსტი — ლიერსი0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენტი | 9 | 7 | 1 | 1 | 17-9 | 22 |
| ბრიუგე | 8 | 7 | 0 | 1 | 20-8 | 21 |
| გენკი | 9 | 5 | 3 | 1 | 25-12 | 18 |
| აალსტი | 9 | 5 | 1 | 3 | 12-14 | 16 |
| ანდერლეხტი | 8 | 4 | 3 | 1 | 19-10 | 15 |
| სტანდარდი | 8 | 4 | 3 | 1 | 13-8 | 15 |
| სტ. ტრუიდენი | 9 | 4 | 3 | 2 | 16-13 | 15 |
| შარლერუა | 8 | 4 | 2 | 2 | 9-9 | 14 |
| ლიერსი | 9 | 3 | 3 | 3 | 10-11 | 12 |
| ლომელი | 8 | 3 | 2 | 3 | 16-20 | 11 |
| ლოკერენი | 8 | 3 | 1 | 4 | 12-9 | 10 |
| ბეერსხოტი | 9 | 2 | 4 | 3 | 18-16 | 10 |
| ვესტერლო | 8 | 3 | 1 | 4 | 14-14 | 10 |
| მუსკრონი | 9 | 3 | 0 | 6 | 13-13 | 9 |
| ანტვერპენი | 9 | 2 | 2 | 5 | 13-16 | 8 |
| მოლენბეკი | 9 | 1 | 1 | 7 | 8-17 | 4 |
| ბევერენი | 9 | 0 | 3 | 6 | 6-25 | 3 |
| ლუვიე | 8 | 0 | 1 | 7 | 8-25 | 1 |

## ჩეხეთი

სლავია — სპარტა 0-1
პრ. კრალოვე — სიგმა 1-0
ჟიჟკოვი — პრჟიბრამი 2-0
დრნოვიცე — ოპავა 3-0
ბანიკი — ბლშანი 3-1
იაბლონეცი — ლიბერეცი 0-3
ტეპლიცე — სინოტი 1-1
ბრნო — ბოჰემიანსი 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 10 | 8 | 0 | 2 | 18-6 | 24 |
| ბოჰემიანსი | 10 | 7 | 2 | 1 | 16-4 | 23 |
| ჟიჟკოვი | 10 | 7 | 1 | 2 | 17-7 | 22 |
| ბანიკი | 10 | 6 | 2 | 2 | 19-10 | 20 |
| ლიბერეცი | 10 | 4 | 4 | 2 | 15-11 | 16 |
| სლავია | 10 | 5 | 1 | 4 | 17-14 | 16 |
| დრნოვიცე | 10 | 4 | 2 | 4 | 15-12 | 14 |
| ბრნო | 10 | 3 | 4 | 3 | 11-13 | 13 |
| სინოტი | 10 | 3 | 4 | 3 | 8-11 | 13 |
| იაბლონეცი | 10 | 3 | 3 | 4 | 9-11 | 12 |
| პრ. კრალოვე | 10 | 4 | 0 | 6 | 11-21 | 12 |
| ბლშანი | 10 | 3 | 1 | 6 | 16-19 | 10 |
| სიგმა | 10 | 2 | 4 | 4 | 10-15 | 9 |
| ტეპლიცე | 10 | 2 | 3 | 5 | 10-15 | 9 |
| პრჟიბრამი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-17 | 8 |
| ოპავა | 10 | 0 | 1 | 9 | 7-22 | 1 |

## პოლონეთი

### A ჯგუფი

ვისლა — გურნიკი 2-1
პოლონია — ოსტროვეცი 2-0
ვიძევი — ოდრა 1-2
ზაგლებე — კატოვიცე 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 11 | 7 | 1 | 3 | 21-11 | 22 |
| ოდრა | 11 | 7 | 1 | 3 | 21-14 | 22 |
| პოლონია | 11 | 5 | 4 | 2 | 18-10 | 19 |
| ზაგლებე | 11 | 5 | 2 | 4 | 18-18 | 17 |
| კატოვიცე | 11 | 4 | 3 | 4 | 16-19 | 15 |
| ოსტროვეცი | 11 | 3 | 2 | 6 | 13-15 | 11 |
| გურნიკი | 11 | 2 | 3 | 6 | 10-18 | 9 |
| ვიძევი | 11 | 3 | 0 | 8 | 8-20 | 9 |

### B ჯგუფი

ამიცა — შლიონსკი1-1
გროცლინი — ლეგია 2-3
რუხი — რადომსკო1-0
პოგონი — სტომილი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოგონი | 11 | 6 | 3 | 2 | 16-11 | 21 |
| ლეგია | 11 | 6 | 2 | 3 | 26-14 | 20 |
| ამიცა | 11 | 5 | 4 | 2 | 19-14 | 19 |
| შლიონსკი | 11 | 4 | 3 | 4 | 20-20 | 15 |
| რუხი | 11 | 4 | 3 | 4 | 11-15 | 15 |
| რადომსკო | 11 | 3 | 3 | 5 | 9-11 | 12 |
| გროცლინი | 11 | 3 | 2 | 6 | 16-20 | 11 |
| სტომილი | 11 | 2 | 2 | 7 | 10-22 | 8 |

## თურქეთი

გალათასარაი — გიოზთეფე 4-1
ანკარაგიუჯიუ — ბურსა 0-1
დენიზლი — გენჩლებირლინგი 4-1
ქოჯაელი — ტრაბზონი 1-0
ანთალია — მალათია 2-1
ისთანბული — დიარბაქირი 1-0
იოზგათი — ბეშიქთაში 1-3
გაზიანთეფი — სამსუნი 1-0
რიზე — ფენერბახჩე 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 8 | 7 | 1 | 0 | 21-7 | 22 |
| ისთანბული | 8 | 7 | 1 | 0 | 9-2 | 22 |
| ფენერბახჩე | 8 | 5 | 1 | 2 | 15-9 | 16 |
| ქოჯაელი | 8 | 4 | 3 | 1 | 15-10 | 15 |
| გიოზთეფე | 8 | 4 | 2 | 2 | 9-9 | 14 |
| ბეშიქთაში | 8 | 4 | 1 | 3 | 19-13 | 13 |
| გაზიანთეფი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-10 | 11 |
| ანთალია | 8 | 3 | 2 | 3 | 13-20 | 11 |
| დენიზლი | 8 | 3 | 1 | 4 | 15-8 | 10 |
| ტრაბზონი | 8 | 3 | 1 | 4 | 14-12 | 10 |
| ბურსა | 8 | 3 | 1 | 4 | 8-15 | 10 |
| გენჩლერბირ. | 8 | 2 | 3 | 3 | 17-18 | 9 |
| რიზე | 8 | 2 | 2 | 4 | 11-14 | 8 |
| სამსუნი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| იოზგათი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-15 | 8 |
| ანკარაგიუჯუ | 8 | 2 | 1 | 5 | 23-19 | 7 |
| დიარბაქირი | 8 | 1 | 2 | 5 | 12-18 | 5 |
| მალათია | 8 | 1 | 0 | 7 | 4-21 | 3 |

## ავსტრია

კერნტენი — გრაცერი 3-2
რიდი — აუსტრია 1-0
შტურმი — ბრეგენცი 3-0
რაპიდი —ზალცბურგი 1-0
ადმირა — ტიროლი 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 13 | 11 | 2 | 0 | 34-1 | 35 |
| შტურმი | 14 | 9 | 3 | 2 | 27-11 | 30 |
| გრაცერი | 15 | 7 | 3 | 5 | 31-24 | 24 |
| კერნტენი | 14 | 7 | 3 | 4 | 17-18 | 24 |
| ზალცბურგი | 15 | 5 | 4 | 6 | 13-16 | 19 |
| რაპიდი | 15 | 5 | 3 | 7 | 15-20 | 18 |
| ბრეგენცი | 15 | 4 | 4 | 7 | 16-31 | 16 |
| რიდი | 15 | 3 | 6 | 6 | 21-26 | 15 |
| აუსტრია | 15 | 3 | 5 | 7 | 18-22 | 14 |
| ადმირა | 15 | 2 | 1 | 12 | 10-33 | 7 |

## შოტლანდია

დანდი იუნ. — ჰიბერნიანი 3-1
დანფერმლაინი — დანდი 1-0
ჰართსი — სტ. ჯონსტონი 3-0
ლივინგსტონი — აბერდინი 2-2
რეინჯერსი — კილმარნოკი 3-1
მოზერუელი — სელტიკი 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 10 | 9 | 1 | 0 | 23-3 | 28 |
| რეინჯერსი | 10 | 6 | 3 | 1 | 15-9 | 21 |
| ლივინგსტონი | 10 | 4 | 5 | 1 | 11-7 | 17 |
| ჰიბერნიანი | 10 | 4 | 2 | 4 | 21-16 | 14 |
| აბერდინი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-15 | 14 |
| კილმარნოკი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-12 | 14 |
| დანდი იუნ. | 10 | 4 | 2 | 4 | 13-18 | 14 |
| ჰართსი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-12 | 13 |
| დანდი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-18 | 11 |
| დანფერმლაინი | 10 | 3 | 0 | 7 | 14-22 | 9 |
| მოზერუელი | 10 | 2 | 3 | 5 | 13-21 | 9 |
| სტ. ჯონსტონი | 10 | 0 | 3 | 7 | 7-22 | 3 |

## შვეიცარია

ლუცერნი — გრასჰოპერი 2-1
სერვეტი— არაუ 3-3
სიონი — ლუგანო 5-0
ლოზანა — ბაზელი 2-4
სტ. გალენი — ქსამაქსი 4-3
ციურიხი — იანგ ბოისი 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 15 | 8 | 3 | 4 | 35-27 | 27 |
| სერვეტი | 15 | 7 | 4 | 4 | 27-19 | 25 |
| სტ. გალენი | 15 | 7 | 4 | 4 | 32-27 | 25 |
| ლუგანო | 15 | 7 | 3 | 5 | 27-25 | 24 |
| გრასხოპერი | 15 | 7 | 2 | 6 | 34-23 | 23 |
| იანგ ბოისი | 15 | 6 | 5 | 4 | 27-21 | 23 |
| არაუ | 14 | 5 | 6 | 3 | 22-17 | 21 |
| სიონი | 15 | 6 | 3 | 6 | 26-21 | 21 |
| ციურიხი | 15 | 5 | 6 | 4 | 17-20 | 21 |
| ქსამაქსი | 15 | 4 | 5 | 6 | 20-21 | 17 |
| ლოზანა | 15 | 2 | 3 | 10 | 14-36 | 9 |
| ლუცერნი | 14 | 2 | 2 | 10 | 15-39 | 8 |

## დანია

ესბიერგი — ოდენსე 2-0
ლიუნგბიუ — მიდტიულანდი 0-4
სილკებორგი — კოპენჰაგენი 0-1
ორჰუსი — აკადემისკი 1-1
ბრონდბიუ — ოლბორგი 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 12 | 8 | 3 | 1 | 29-5 | 27 |
| ოლბორგი | 12 | 8 | 2 | 2 | 21-14 | 26 |
| ესბიერგი | 12 | 7 | 1 | 4 | 20-19 | 22 |
| კოპენჰაგენი | 12 | 6 | 3 | 3 | 16-10 | 21 |
| მიდტიულანდი | 12 | 4 | 6 | 2 | 14-9 | 18 |
| აკადემისკი | 12 | 4 | 5 | 3 | 16-13 | 17 |
| ოდენსე | 12 | 4 | 3 | 5 | 16-17 | 15 |
| ლიუგბიუ | 12 | 2 | 6 | 5 | 12-17 | 12 |
| ვიბორგი | 11 | 2 | 5 | 4 | 13-15 | 11 |
| ვეილე | 11 | 2 | 4 | 5 | 14-23 | 10 |
| ორჰუსი | 12 | 1 | 5 | 6 | 9-21 | 8 |
| სილკებორგი | 12 | 0 | 3 | 9 | 8-25 | 3 |

## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი.

# აზია

### A ჯგუფი

ირანი — ერაყი 2-1
ტაილანდი — ბაჰრეინი (შეწყდა)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 7 | 4 | 3 | 0 | 9-4 | 15 |
| საუ. არაბეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-7 | 14 |
| ერაყი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-10 | 7 |
| ბაჰრეინი | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| ტაილანდი | 6 | 0 | 3 | 3 | 3-10 | 3 |

*ბოლო ტური:*
***19 ოქტომბერი:*** ბაჰრეინი — ირანი
საუ-არაბეთი — ტაილანდი

### B ჯგუფი

ჩინეთი — ყატარი 3-0
ომანი — უზბეკეთი 4-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 13-1 | 19 |
| საემიროები | 7 | 3 | 1 | 3 | 8-9 | 10 |
| ყატარი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-10 | 9 |
| უზბეკეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 12-14 | 7 |
| ომანი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-14 | 5 |

*ბოლო ტური:*
***19 ოქტომბერი:*** საემიროები — ომანი
უზბეკეთი — ჩინეთი

## ნორვეგია

ბრანი — ვიკინგი 0-1
ლილესტრიომი — რუსენბორგი 1-2
ლინი — მოსი 0-2
ოდ გრენლანდი — ტრომსიო 0-0
სოგნდალი — ბრინი 1-4
სტაბეკი — მიოლდე 0-1
სტრიომგოდსეტი — ბოდო გლიმტი 1-4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 24 | 16 | 6 | 2 | 65-27 | 54 |
| ლილესტრიომი | 24 | 15 | 5 | 4 | 59-32 | 50 |
| ვიკინგი | 24 | 14 | 6 | 4 | 41-26 | 48 |
| მიოლდე | 24 | 13 | 4 | 7 | 53-27 | 43 |
| სტაბეკი | 24 | 12 | 3 | 9 | 42-38 | 39 |
| ბრანი | 24 | 11 | 5 | 8 | 58-42 | 38 |
| ოდ გრენლანდი | 24 | 10 | 6 | 8 | 43-37 | 36 |
| მოსი | 24 | 9 | 2 | 13 | 34-44 | 29 |
| სოგნდალი | 24 | 8 | 4 | 12 | 40-55 | 28 |
| ბოდი გლიმტი | 24 | 6 | 8 | 10 | 41-43 | 26 |
| ლინი | 24 | 5 | 8 | 11 | 36-44 | 23 |
| ბრინი | 24 | 5 | 3 | 15 | 29-57 | 19 |
| სტრიომგოდ. | 24 | 3 | 9 | 12 | 36-67 | 18 |
| ტრომსიო | 24 | 4 | 4 | 16 | 20-46 | 16 |

## საბერძნეთი

პანიონიოსი — ოფი 1-1
იონიკოსი — ირაკლისი 1-1
პანაჰაიკი — ეთნიკოსი 0-0
აეკ — ქსანთი 2-0
აკრატიტოსი — პანათინაიკოსი 0-0
ეგალეო — არისი 0-0
პაოკი — ოლიმპიაკოსი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| არისი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| პანათინაიკოსი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-2 | 5 |
| აკრატიტოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| პანაჰაიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| ირაკლისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| ეთნიკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| ოფი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| ქსანთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| პანიონიოსი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| პაოკი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| იონიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| ეგალეო | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |

## ფინეთი

(გადადებული მატჩები)
ჰიკი — ლაჰტი3-0
კუოპიო — ატლანტისი 3-1
როვანიემი — ტამპერე 0-2
იოკერიტი — ვაასა 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკი | 30 | 18 | 9 | 3 | 61-16 | 63 |
| ტამპერე | 30 | 18 | 5 | 7 | 44-31 | 59 |
| მიუბა | 30 | 16 | 9 | 5 | 44-23 | 57 |
| ჰაკა | 30 | 13 | 8 | 9 | 41-27 | 47 |
| ინტერი | 30 | 14 | 4 | 12 | 41-41 | 46 |
| ატლანტისი | 30 | 10 | 9 | 11 | 39-45 | 39 |
| ვაასა | 30 | 11 | 3 | 16 | 41-49 | 36 |
| ლაჰტი | 30 | 8 | 9 | 13 | 35-45 | 33 |
| კუოპიო | 30 | 8 | 9 | 13 | 30-40 | 33 |
| ჯაზი | 30 | 6 | 10 | 14 | 30-47 | 28 |
| იოკერიტი | 30 | 7 | 6 | 17 | 29-52 | 27 |
| როვანიემი | 30 | 5 | 9 | 16 | 23-44 | 24 |

## რუსეთი

(გადადებული მატჩები)
ზენიტი — ლოკომოტივი 0-0
კრილია სოვეტოვი — სპარტაკი 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 26 | 15 | 8 | 3 | 48-24 | 53 |
| ზენიტი | 27 | 14 | 8 | 5 | 47-30 | 50 |
| ლოკომოტივი | 27 | 14 | 7 | 6 | 48-22 | 49 |
| სატურნი | 27 | 12 | 8 | 7 | 40-19 | 44 |
| კრილია სოვეტ. | 27 | 12 | 7 | 8 | 33-21 | 43 |
| ტორპედო | 26 | 12 | 6 | 8 | 46-39 | 42 |
| ცსკა | 27 | 10 | 11 | 6 | 34-26 | 41 |
| სოკოლი | 28 | 11 | 5 | 12 | 28-39 | 38 |
| დინამო | 27 | 8 | 8 | 11 | 34-45 | 32 |
| როტორი | 27 | 8 | 7 | 12 | 36-37 | 31 |
| ანჟი | 26 | 7 | 10 | 9 | 25-27 | 31 |
| როსტსელმაში | 27 | 7 | 7 | 13 | 26-38 | 28 |
| ალანია | 27 | 7 | 7 | 13 | 27-41 | 28 |
| ტორპედო ზი. | 27 | 6 | 9 | 12 | 19-33 | 27 |
| ფაკელი | 27 | 7 | 4 | 16 | 26-44 | 25 |
| ჩერნომორეცი | 27 | 5 | 8 | 14 | 16-47 | 23 |

## XX საუკუნის დიდი ფეხბურთელები

ალფრედო დი სტეფანო:

# გმადლობთ, მოხუცო!



### ვალენსია ჩემპიონია

ალბათ, ძალიან იღბლიანი ვარ. თავად განსაჯეთ: არგენტინაში ჩემი „ბოკა“ ერთ სეზონში (1970) გახდა ჩემპიონი, ესპანეთში ჩემი „ვალენსიაც“ გახდა ჩემპიონი (1971). ფანტასტიკაა! და კოლოსალური კმაყოფილება. ესე იგი, რაღაცად ვღირვარ და როგორც მწვრთნელიც. და მაინც, უფორტუნოდ სპორტში არ იქნებოდა გამარჯვებები. აი, „ვალენსია“ ბოლო ტურში მასპინძლობდა „ესპანიოლს“, მადრიდში კი ერთმანეთს ხვდებოდნენ „ატლეტიკო“ და „ბარსელონა“. ჩვენ აუცილებლად უნდა გაგვემარჯვა. რომ წაგვეგო, ჩემპიონი გახდებოდა მადრიდის შეხვედრის ერთ-ერთი მხარე. რა თქმა უნდა, ის, ვინც გაიმარჯვებდა. ჩვენ კი წავაგეთ. ამავე დროს, მადრიდშიც ფრე აღინიშნა. ჩვენ ლიგის ჩემპიონები გავხდით.

მერე ბანკეტი. „ესპანიოლის“ ფეხბურთელები გვილოცავენ, ჩვენ მათ — როგორც გამარჯვებულებს, რომლებმაც სოლიდური პრემიალური თანხა მიიღეს, რაზეც წინასწარ გამოუცხადეს. ეს ის შემთხვევა იყო, როცა ყველა ბედნიერია.

მწვრთნელის ცხოვრება თაფლად რომ არ მოგეჩვენოთ, გეტყვით, რომ „ვალენსიასთან“ განშორება ძალიან განვიცადე, რაც თმის გაჭაღარავებად, ან, უბრალოდ, ბღუჯა თმა დამიჯდა. ჩემს პირველ მისვლისთანავე მოვიგეთ ლიგის პირველობა და ორჯერ წავაგეთ თასის ფინალი. როცა ვავარჯიშებდი „ვალენსიას“ მეორედ, დავეუფლეთ უეფას თასს „არსენალთან“ პაექრობაში. ღმერთი სამებითაა, მაგრამ „ვალენსიასთან“ მუშაობის მესამე პერიოდი ნაკლებად წარმატებითი აღმოჩნდა. იგი გუნდის საუკეთესო ხანა არ იყო, ჩვენ გავვარდით ლიგიდან, თუმცა, მომდევნო წელს დავბრუნდით. აბა, დაითვალეთ რამდენჯერ მოვიპოვეთ მეორე ადგილი პირველობაში და თასი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქაც მეორე ვიყავით, ესე იგი, „ვიცე“, რომ იცოდეთ, როგორ არ მიყვარს ეს სიტყვა. იგი ჩემთვის ყველაზე საძულველია სპორტში.

მომდევნო ორი საზონი „ვალენსიასთან“ ნაკლებიღბლიანი იყო.

მეექვსე ადგილი 1972 წელს და მეათე — 1973-ში. სხვადასხვა ფაქტორით აიხსნება ასეთი მდგომარეობა. მაგალითად, არ გვქონდა აუცილებელი სპორტული დარბაზი, ისეთი, ახლა რომ სიუდად დეპორტივოა — სპორტული ქალაქი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სერიოზულ წარმატებებზე ლაპარაკიც კი. თუმცა, იმ დროისათვის „ვალენსიას“ უკვე ჰქონდა კარგი სკოლა. მას უფრო სამწყსოს ვუწოდებდი, იმიტომ, რომ იქ მთავარ აღმზრდელად იყო მღვდელი დონ ელიასი. მის განკარგულებაში გახლდათ ორი შესანიშნავი მინდორი. ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებს მხოლოდ დიდ საზეიმო დღეებში გვრთავდა ვარჯიშის უფლებას. ასეთ შესანიშნავად მოვლილ მინდორზე ბიჭები საკმაოდ კარგი ფეხბურთელები გამოდიოდნენ.

მაგალითად, არიასი, მეტსახელად ლიბერო, იგი ნაკრებშიც თამაშობდა მერე. იმ წლებში რამდენიმე ღირსეული შევსება გვქონდა. დავასახელებ კეიტას. იგი ფრანგულ „სენტ-ეტიენში“ შევნიშნე. შემდეგ გამოდიოდა „მარსელში“. იქ ვერ მოერგო გუნდს, და ვისარგებლე ხელსაყრელი მომენტით. მაგრამ მოლაპარაკება, პრესის გამო, კინაღამ ჩაიშალა. ერთ-ერთმა გაზეთმა დაწერა: „ყველას ეგონა, რომ შეიძინეს გერმანელი, ის კი ზანგი აღმოჩნდა“. შავკანიანი კეიტა ლაფში ამოსვარეს. დიდი ძალისხმევის შედეგად ძლივს დავაშოშმინეთ — გაზეთის მუშაკები იქაც ეძებენ სენსაციებს, სადაც იგი არ შეიძლება იყოს. ასე მივიღეთ ფორვარდი, რომელსაც ნებისმიერი ამოცანის შესრულება ხელეწიფებოდა. ფეთქებადი, თითქოს დენით იყო დამუხტული, შესამჩნევი კვალი დატოვა „ვალენსიის“ ისტორიაში.

დასაწყისი იხ. „ლელო“ №72-80

შევნიშნავ, რომ „თვალი მიჭრის“ ფრანგებზე. კარგა მოგვიანებით, „რეალში“ რომ დავბრუნდი, კლუბის პრეზიდენტი უკვე რამონ მენდოსა გახდა, კანტონას კანდიდატურა შევთავაზე გუნდის გასაძლიერებლად. იგი მაშინ „მარსელში“ თამაშობდა, და კლუბის პრეზიდენტი ტაპიე, რომელსაც სერიოზული პრობლემები შეექმნა, არ მაეჭვებს, რომ იოლად შეელეოდა თავის ვარსკვლავს, გასცემდა იჯარით, შემდეგ „რეალს“ მიჰყიდდა. მაგრამ ჩემს წინადადებას მხარი არ დაუჭირეს, და ენაზე კბილი დავიჭირე. კანტონა კი რამდენიმე ხნის შემდეგ ორი, იქნებ სამი წელიწადი ზედიზედ ევროპის ერთ ერთ საუკეთესოდ აღიარეს და კარიერის ბრწყინვალე პერიოდი გაატარა ინგლისში.

იმ მომენტში, კანტონას იგნორირების შემდეგ, მადრიდის კლუბის ხელმძღვანელობამ ყურადღება მიაპყრო მაიამის ტურნირზე გაბრწყინებულ ესნაიდერეს. დაინტერესდნენ ჩემი აზრით, მით უმეტეს, რომ ესნაიდერი არგენტინელია. ვთქვი, რომ ჭაბუკს, რომელსაც 19 წელი არ შესრულებია, და მიჩვეულია სამხრეთამერიკული თამაშის ყაიდას, ადაპტაციისათვის დასჭირდება დრო. საიდან შეეძლო მეყსიერად გადაეწყვიტა ამოცანა, ესე იგი, პრაქტიკულად სათავეში ჩასდგომოდა „რეალის“ შეტევის ხაზს. ასეც მოხდა: იგი იყიდეს, მაგრამ „რეალში“ ამინდი ვერა და ვერ შექმნა, თუმცა კარგი მოთამაშე კი იყო, რაც ესპანეთში გამოავლინა კიდეც.

საერთოდ, მოთამაშის აყვანა მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს. ცუდია, როცა მას თავს მოახვევენ მოთამაშეს, რომელსაც არ იცნობს ან არ თვლის საჭიროდ მიიწვიოს. ბოლოს და ბოლოს, მწვრთნელმა უნდა განსაზღვროს გუნდის სახე და პასუხსაც აგებდეს შედეგზე.

### არამზადის ბედი

უფრო უარესი ის არის, მწვრთნელს გაუთვალისწინებლად რომ იწვევენ. კერძოდ, მისი დადებითი და უარყოფითი თვისებების შეფასება წინასწარ არ ხდება. მას უფრო სჭირდება საადაპტაციო დრო, ვიდრე მოთამაშეს, თუნდაც იმიტომ, რომ იგი პასუხს აგებს მთელ გუნდზე. მას მოთამაშეებზე მეტი მბრძანებელი ჰყავს. მოდი და გაიგე, ვის რა სურს.

ასეთი გამოცდილება, საკმაოდ მწვავე, მივიღე ლისაბონის „სპორტინგში“. იქ ჩემი მოხვედრა შემთხვევით მოხდა. „სპორტინგში“ წინ თამაშობდა არგენტინელი იზალდე. მისი კონტრაქტი მთავრდებოდა და იფიქრა, ფეხბურთის სამყაროში ავტორიტეტიან თანამემამულეს შეუძლია კლუბში ყოფნა გაუგრძელოს.

ჩავედი ლისაბონში. დამაბინავეს საუცხოო სასტუმროში. მაგრამ მალე გამოჩნდა ადმინისტრატორი და იკითხა: „ვინ გადაიხდის?“

უცებ გავამახვილე ყურადღება, გამორკვევას რომ არ შევდგომოდი, გადავედი სხვა, შედარებით უბრალო სასტუმროში. წინათგრძნობა ზუსტი გამოდგა. კლუბში აუწერელი ქაოსი იყო გამეფებული. არავინ აგებდა რაიმეზე პასუხს, კონტრაქტის შემდგენელიც არ იყო, მასთან ერთად ხელი რომ მოგეწერა. მოთამაშეები სამეცადინოდ საკუთარი განრიგით ცხადდებოდნენ, ექვსი, შვიდი, უკეთეს შემთხვევაში თორმეტი კაცი. ხმას არ ვიღებდი, მინდოდა გამეგო, რა გამოვიდოდა აქედან. ვფიქრობდი, აი დაბრუნდება კლუბის ყველა ხელმძღვანელი შვებულებიდან, და ერთიანად შევუდგებით საქმეს. მანამდე კი ბრაზილიაში გავემგზავრეთ ტურნეში. უწინდელი უწესრიგობა სუფევდა. ზოგიერთი მოთამაშე, საერთოდ, პირველად ვნახე აეროპორტში. სამი შეხვედრა წავაგეთ. შეიძლება ჩვენები არც თუ ისე ცუდები იყვნენ, მაგრამ თავიანთი უნიათო იერით ცხადჰყვეს, არ აინტერესებთ შედეგი. იმხანად პროფესიულ ფეხბურთში შრომითი ხელშეკრულების დადება პორტუგალიაში უფრო პრობლემატური იყო, ვიდრე ესპანეთში. ასევე ჩემთან კონტრაქტს ხელი არ მოაწერეს. ფარუს „ფარენსესთან“ სათამაშოდ რომ მივემგზავრებოდით, ზედ თვითმფრინავის ტრაპთან შემატყობინეს: „თქვენ მიფრინავთ, მაგრამ გუნდი სილვას ხელში გადადის“. ამ დაუზარელი ბრაზილიელის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, ჩემი თანაშემწის როლს რომ ასრულებდა, მაგრამ რატომ ადრე არ გამაგებინეს? „ფედერაციაში თქვენი კონტრაქტის წარმოდგენა ვერ მოვასწარით“. ადვილი გასაგები იყო ჩემი მდგომარეობა. არ შეიძლებოდა ფარუში რომ არ გავფრენილიყავი, მაგრამ თამაშს ღობისმიღმა ვადევნებდი თვალს, დაბრუნების შემდეგ კი პრეზიდენტისთვის არც კი მითქვამს „მშვიდობით“. გადავიხადე ოტელის ქირა, ჩავჯექი მანქანაში და წამოვედი. ჩემთვის სკუდეტოც არ გადაუხდიათ. გზაში დავურეკე ცოლს: „სრული უკუსვლა, კინაღამ აისბერგს დავეჯახე“.

### მეორე დივიზიონში

ზოგი ჭირი მარგებელიაო... მადრიდში საინტერესო წინადადება მელოდა „რაიო ვალეკანოსაგან“. რა მნიშვნელობა ჰქონდა, რომ „რაიო“ მეორე დივიზიონის გუნდი იყო, ჩემთვის უფრო იმას ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ეს გუნდი ღარიბი რაიონიდანაა, რომელშიც ოდესღაც დავიბადე და გავიზარდე. მთავარი ის იყო, რომ შემეძლო ოჯახს შევერთებოდი. მაგრამ აქაც ყველაფერი ისე იოლად არ იყო. „რაიოს“ არც თავისი სტადიონი ჰქონდა, არც საწვრთნელი ბაზა. ერთი ადგილიდან მეორეს ვეკედლებოდით, ხალხის დათანხმება გვიხდებოდა, რომელიც ყოველთვის როდი იჩენდა გულისხმიერებას.

მეორე სერიოზული დაბრკოლება — ფიზიკური მომზადების მწვრთნელი. იგი მიიჩნევდა, და ამის საფუძველი ჰქონდა, რომ „მისტერები“ (ესპანეთში ასეა მიღებული ეწოდოს მთავარ მწვრთნელებს) მოდიან და მიდიან, იგი კი რჩება. მაგრამ ფეხბურთი დროზე სირბილი არაა, თამაშია, და მას, რა თქმა უნდა, მართავდეს უნდა მწვრთნელი, რომელსაც აქვს ცოდნა ფსიქოლოგიური, სამედიცინო და ასე შემდეგ.

მესამე პრობლემა — ფული. ჩემზე უფრო მოთამაშეებზე ვწუხდი. ბიჭები თითქმის უფასოდ მუშაობდნენ, რაც თამაშზეც ახდენდა ზეგავლენას. ბევრი, ხელსაყრელ შემთხვევაში ტოვებდა გუნდს. უცბად, არა, მაგრამ მეც დავტოვე.

ვიდრე ჩემს ამბავს განვაგრძობდე, დავუბრუნდები მისტერ მწვრთნელისა და ფიზმომზადების მწვრთნელის ურთიერთობას. ღმერთმანი, ყოველთვის ისე არ მომსვლია, როგორც „რაიოში“ მომივიდა. ყველამ კარგად იცის, რომ მერე კარგა ხანს ხესუს პერედუსთან ერთად ვმუშაობდი, და იგი ჩემი სრული ნდობით სარგებლობდა. და თუ ყველამ არ იცის, მაშ ვიტყვი, რომ მე მომხრე ვარ ფეთქებად, აჩქარებასა და ფიზიკურ გამძლეობაზე აგებული ვარჯიშის. მაგრამ გუნდში ფიზმომზადების მწვრთნელის როლი მაინც დამხმარე უფროა. მისი საქმეა მხოლოდ ათლეტური ხარისხის ჩვევების გამომუშავება. ფეხბურთი კი, ვიმეორებ, მძლეოსნობა არ არის. კი, მოთამაშეს ესაჭიროება საფუძველი ბურთით რომ იმუშაოს, და ეს საფუძველი მოსამზადებელ პერიოდში უნდა შეიქმნას, სეზონის მსვლელობაში კი საჭიროა მხოლოდ მისი შენარჩუნება. ამიტომაც თანაშემწე ყოველთვის გვერდში მყავს, რომლის ამოცანაა სიგნალი მომცეს, ხომ არ გახარჯა ფეხბურთელმა ფიზიკური ფორმა, და საჭირო შემთხვევაში კვლავ აუმაღლოს იგი.

მომდევნო სეზონი „კასტელიონში“ — კიდევ ერთ მეორე დივიზიონის გუნდში გავატარე. იგი ვალენსიელმა მეგობრებმა მირჩიეს იმ თვალსაზრისით, ხელსაყრელი სიტუაცია თუ შეიქმნებოდა, დავუბრუნდებოდი მათ კლუბს. „კასტელიონის“ პრობლემები იგივე იყო, რაც „რაიოსა“ და „სპორტინგს“ ჰქონდა.

ფინანსირება არ იყო. მოთამაშეები მე მთხოვდნენ ბენზინის ფულს, სავარჯიშოდ რომ მოსულიყვნენ. სამაგიეროდ, დამოკიდებულება, ისევე როგორც ყველა პროვინციულ გუნდში, გულითადი, ღვთისმსახურებრივიც კი იყო.

უნდა გაუგო მოთამაშეს, რომელსაც თვეობით ვერ უხდიან მინიმალურ ხელფასს, ბევრს კი ოჯახი ჰყავს. ისინი დაჩაგრულ მდგომარეობაში არიან, ცუდად ვარჯიშობენ, კარგავენ სათამაშო კონდიციას. ჯიბეცარიელებს ფეხბურთი ისე ველარ იზიდავს. სიყვარულით მარტო ფრინველები მღერიან. იმასაც მეუბნებოდნენ: „მისტერ, გუშინ მტვირთავად ვიმუშავე, კი გადამიხადეს, მაგრამ ძალიან დავიღალე“. ვანთავისუფლებდი ვარჯიშიდან ფული რომ გამოემუშავებინათ. ვუშვებდი მოსწავლეებსაც, მომავალი ცხოვრებისთვის აუცილებელი ცოდნა რომ შეეძინათ. ფეხბურთი — დღევანდელი პურია, ხვალ კი შიმშილი. მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ შიმშილი მიმდინარე ცხოვრებაშიც წამოეწეოდათ.

ფედერაციას, ფეხბურთი რომ პროვინციაშიც იყოს, დარწმუნებული ვარ, ფეხბურთელის დასახმარებლად ფონდი უნდა ჰქონდეს. ყველა იმდენს სად იღებს, როგორც მადრიდსა და ბარსელონაში უხდიან. და კიდევ, მკაცრად მოვთხოვდი პრეზიდენტებსა და კლუბის დანარჩენ ხელმძღვანელებს თავისთვის, გასართობად რომ იქმნიან გუნდებს, არაფერი კი გაეგებათ ფეხბურთში და არც ფეხბურთელებზე ზრუნავენ. რატომღაც მათი უმრავლესობა სამშენებლო ბიზნესშია ჩართული და ბურთი აგური ჰგონიათ.

ჩემს თავს პრეტენზიას წავუყენებ მხოლოდ იმის გამო, რომ ისე ვეთანხმებოდი სამუშაოდ, სათანადოდ აწონილი არა მქონდა შედეგი. არ შემეძლო მეთქვა უარი, როცა მთხოვდნენ გადაგვარჩინეო. ამიტომ მწარე ხინჯი მრჩებოდა გულში. ნამდვილად არ მინანია, მხოლოდ მაშინ, მესამედ რომ მთხოვა ლიგიდან გავარდნილმა „ვალენსიამ“, მოგვხედეო. ტიტანური ძალისხმევით, ჩემპიონები გავხდით მეორე დივიზიონში და დავბრუნდით უძლიერესთა კომპანიაში. არსებითად, ეს გმირობა იყო. იგი ძალიან ძნელად გვერგო. მეორე დივიზიონს რომ შევრჩენოდით, შევურიგდებოდით მდგომარეობას და მიზანს დავკარგავდით. მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდით, რასაც კბილებით ვებღაუჭებოდით. და რა გულდასაწყვეტი იყო, როცა გაზეთ „პროვინსიაში“ წავიკითხე ჩვენზე: „ვალენსია“ თამაშობს, მაგრამ არ გვართობს“. ეს სპექტაკლი არ არის. გართობა გინდათ? მიბრძანდით პლასიდო დომინგოზე.

სპექტაკლის ნახვა გნებავთ? შეხედეთ მეხანძრეებს ტორეადორების როლში. მოთამაშეები გულგამეხებულები უარს ეუბნებოდნენ ამ გაზეთის ჟურნალისტებს ინტერვიუზე. მე კი არასოდეს. მიმაჩნია, რომ მწვრთნელი თავშეკავების მაგალითი უნდა იყოს. მაშ ვინ აუხსნის მკითხველებს, რომ გაზეთი ტყუის? ამასთან, კვალიფიცირებული ჟურნალისტების მსგავსი განცხადებები ჩემში ღიმილს იწვევს.

### საუკეთესო მეგობარი

არ შემიძლია დავივიწყო 1979 წელი, მიმტომ, რომ იმ წელს დავკარგე საუკეთესო მეგობარი, ხოსე სამიტიერი, ჩემი მეგობარი პეპე. გამოჩენილი ფეხბურთელი, ერთგული, შეიძლება ითქვას, ჩემი უფროსი ძმა. მან ჩამომიყვანა ესპანეთში, თუმცა, ვერ მომაწყო თავის „ბარსელონაში“.

„სამეფო“ კლუბის „სამაშველო წრე“ გადმომიგდო და საერთოდ, ის რომ არა, დავრჩებოდი კი ფეხბურთში? იქნებ, მთელი ჩემი სიცოცხლე მამაჩემის ფერმაში ვიმუშავებდი ბუენოს-აირესის მახლობლად?

გულს უჩიოდა: „ჩემი საათი, როგორც საჭიროა, ისე ვერ დადის“. უკანასკნელად მის სახლში შევხვდით ერთმანეთს — ბარსელონაში, შეუძლოდ იყო. ორი თუ სამი გარდელის ფოტო მაჩუქა. ერთ-ერთზე ორი გამოჩენილი პიროვნება — სახელგანთქმული ავტორი და არგენტინული ტანგოს საუცხოო შემსრულებელი გარდელი და ასევე სახელგანთქმული ფეხბურთის სამყაროში ესპანელი მეკარე რიკარდო ზამორა. სამიტიერის სიკვდილის ამბის გაგებისთანავე ბარსელონაში ჩავედი და მონაწილეობა მივიღე გამომშვიდობებაში, „ნოუ კამპის“ სტადიონზე. თაყვანი ვეცი კაცს, რომელმაც აღმომაჩინა ფეხბურთელად. პეპე საოცარი ფეხბურთელი იყო, გარეგნულად მძიმე, აუჩქარებელი, მაგრამ უაღრესად ფეთქებადი, ამასთან, იცოდა თავისი მანევრის დამალვა. ტყუილად კი არ უწოდებდნენ „ლანგუსტს“. მინდვრის მიღმაც ხშირად იყო გამოუცნობადი. მაგალითად, უყვარდა ღამით ჭამა, და რომ ეუბნებოდნენ, ეს საზიანოა კუჭისთვის, პასუხობდა: „კუჭმა რა იცის, რომელი საათია“. უფროსი ძმა ვუწოდე, იმიტომ რომ ასე ვამბობდი მეგობრებისა და ჟურნალისტების წრეში. სინამდვილეში იგი ოჯახის წევრებზე უფრო ახლობელი იყო. ნათესავები განგებისაგან გეძლევა, მეგობრებს კი ეძებ და პოულობ ან ვერა. გყავდეს მეგობრები — იგივეა, რაც კარგი ბიბლიოთეკა რომ გქონდეს.

### ევროთასი „ვალენსიასთან“ ერთად

1979-1980-ის სეზონში „ვალენსიამ“ ესპანეთის თასი მოიპოვა. დაამხო „რეალი“, თანაც მადრიდში, „ბერნაბეუზე“ არა, მაგრამ „ვისენტე კალდერონის“ სტადიონზე. არგენტინელი მარიო კემპესის ორი გოლით, მსოფლიო ჩემპიონ, მსოფლიო-78-ის საუკეთესო მოთამაშისა და ბომბარდირის წყალობით. ჩემპიონატი უეფას თასზე ფიქრით დავამთავრეთ. მეექვსე ადგილზე აღმოვჩნდით. ჯილდოდ კი იყო ტრიუმფი ევროტურნირში. ეს ბრიუსელში მოხდა, სადაც ლონდონის „არსენალს“ ვძლიეთ — 0-0, პენალტებით — 5-4.

უკან ვბრუნდებოდით თვითმფრინავით, რეისით ბარსელონამდე. იქიდან ვალენსიამდე ავტობუსით ვიმგზავრეთ. მთელ გზაზე გვესალმებოდნენ ინჩადები, იქნებ მთელი ესპანეთიც. ზეიმის მერე ორი დღის შემდეგ გამომიცხადეს, რომ კონტრაქტს არ გაგიგრძელებთ. რა უნდა მეთქვა? მარტო ის, რომ: „როცა მოინდომებთ კიდევ ერთი თასის მოგებას, დამიძახეთ“. საბაბი უბრალო იყო. ხელმძღვანელებმა შემდეგი სეზონისათვის ჩემთან შეუთანხმებლად მოინიშნეს შესაძენ ფეხბურთელთა სია. ჩვენი აზრი გაიყო. ჩემი დასახელებული მოთამაშეები უარყვეს. ასეთ თამაშში არ ვმონაწილეობ, ეს კარგად იცოდნენ მათ.

ფინალი ბარსელონაში ყველაფრის გარდა, სარეკლამო ხრიკებითაც იყო დასამახსოვრებელი. მოთამაშეთა ერთ ჯგუფს შავზოლიან თეთრ ბუცებში სურდა თამაში, მეორეს — პირიქით. დილიდანვე სპორტული ფეხსაცმლის მწარმოებელი ფირმის წარმომადგენლები მოთამაშეებს მოსვენებას არ აძლევდნენ, აგრევე უმატებდნენ ფასს. ეს ახლაა ათასი დოლარი ჰონორარად რომ არ ითვლება, მაშინ კი ამ თანხის გაგონებაზე თავბრუ ესხმოდათ. შეიძლებოდა, განა, თამაშისთვის განწყობილიყვნენ? კლუბის დირექტორატის წევრები კი ხუჭავდნენ თვალებს. ისინი ან თავიანთ წილს ელოდნენ, ან გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩემი გაშვება.

მატჩი საკმაოდ სანერვიულო გამოდგა, გავკიოდი, რაც ძალა მქონდა. თუმცა, რომელი მწვრთნელი არ იქცევა ასე? მოთამაშე რომ ვიყავი, უფრო თავშეკავებულად ვიქცეოდი, მაშინაც კი, როცა ვაგებდით შეხვედრას. მწვრთნელს კი მაღიზიანებდა ყველაფერი, ჩემი ქვეშევრდომების სხვადასხვა ფერის ბუცებიც კი.

*(გაგრძელება იქნება)*

# ტაისონის გამარჯვება ტექნიკური ნოკაუტით




ასე დასრულდა კოპენჰაგენში პროფესიონალ მოკრივეთა შერკინება ამერიკელ მაიკ ტაისონსა და დანიელ ბრაინ ნილსენს შორის. ევროპელმა უარი განაცხადა მეშვიდე რაუნდში რინგზე გასვლაზე. რის შემდეგ მსაჯებმა გამარჯვება ტაისონს მიაკუთვნეს. ტაისონისთვის ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი ორთაბრძოლა მას შემდეგ, რაც ევანდარ ჰოლიფილდთან მარცხი იწვნია ხუთი წლის წინათ. ახლანდელი მატჩი პირველი იყო ტაისონისთვის წლეულს.

მეექვსე რაუნდის შემდეგ დანიელი მოკრივე მარცხენა თვალით საერთოდ ვერაფერს ხედავდა, სწორედ ეს გახდა მიზეზი უარი ეთქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. როგორც იუწყებიან, ნილსენს ჩაფიქრებული ჰქონია, რაც შეიძლება გაეხანგრძლივებინა პაექრობა და ბორკავდა ტაისონის მოქმედებას — თავს იფარავდა ან გადადიოდა დაცვაში. უკვე მესამე რაუნდში ტაისონს შესაძლებლობა მიეცა ბრძოლა დაემთავრებინა წმინდა ნოკაუტით, გაგზავნა რა მეტოქე ნოკდაუნში, მაგრამ ამერიკელმა დამამთავრებელი დარტყმა ალარ შეასრულა ნილსენის უკვე გახეთქილ წარბზე. რეფერიმ ხუთი წუთი მისცა დანიელს ალსადგენად და ბრძოლა გაგრძელდა. მეექვსე რაუნდში ნილსენი პრაქტიკულად ცალი თვალით დაბრმავებული გამოვიდა. ამ ორთაბრძოლის შემდეგ ტაისონს 49 მოგება დაუგროვდა 53 შეხვედრიდან. აქედან 43 დაამთავრა ნოკაუტით. არ გამორიცხავენ, რომ შემდეგ პაექრობას ტაისონი ჩაატარებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე ერთ-ერთი ვერსიით.

# ლეგენდარულმა სოტომაიორმა კარიერა დაამთავრა




ცნობილმა კუბელმა მძლეოსანმა ხავიერ სოტომაიორმა განაცხადა, რომ ამთავრებს თავის სპორტულ კარიერას. 20 წლის მანძილზე ამ სპორტსმენმა დაამყარა მსოფლიოს ხუთი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში, რომელთაგან ორი დღემდე მიუწვდომელი რჩება – 245 სმ ღია და 236 სმ დახურული არენებისთვის. 1992 წელს, ოლიმპიურ თამაშებში, ხავიერმა 234 სმ დაძლია და თავისი ერთადერთი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა. შარშან, სიდნეიში კი მეორე პრიზიორი გახდა. შეგახსენებთ, რომ ამ ათლეტს, 1999 წელს პანამერიკული თამაშების ოქროს მედალი ჩამოართვეს და ორი წლით მისცეს დისკვალიფიკაცია სისხლში კოკაინის აღმოჩენის გამო. არადა, თავისი კარიერის მანძილზე კუბელმა სულ მცირე 300-ჯერ გაიარა შემოწმება და ყოველთვის „სუფთა“ იყო.

# უკრაინა იწვევს ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს



უკრაინის ძალოსნობის ფედერაციამ საერთაშორისო ფედერაციას განაცხადი გაუგზავნა 2004 წლის ჩემპიონატის კიევში ჩატარების მოთხოვნით, რასაც უმალვე მოჰყვა გამოხმაურება — უკრაინაში ჩავიდა საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი, რომელთა შორისაა ვეტერანი ძალოსანი, ლეგენდარული სუპერმძიმეწონოსანი ანატოლი პისარენკო. კომისია სწავლობს სპორტსმენთა ცხოვრების პირობებს და ტრანსპორტით მომსახურების შესაძლებლობებს. ისინი შეხვდებიან უკრაინის სპორტისა და ეოკ-ის ხელმძღვანელებს.

საბოლოო დასკვნას საერთაშორისო ფედერაცია თავის სხდომაზე კომისიის დასკვნის მოსმენის შემდეგ გამოიტანს.

# „იაპონიის გრან-პრიც“ მიხაელ შუმახერმა მოიგო

ფორმულა-1-ში, როგორც ცნობილია, ვადამდე ადრე მოიპოვა პირველობა გერმანელმა ცნობილმა მრბოლმა მიხაელ შუმახერმა. ახლა მან 2001 წლის ჩემპიონატის ბოლო ეტაპი – „იაპონიის გრან-პრიც“ მოიგო. ამ გამარჯვებით მიხაელმა ლეგენდარულ ალენ პროსტსაც გადაუსწრო გამარჯვებების რაოდენობით ფორმულა-1-ის ჩემპიონატების ისტორიაში.

მიუხედავად მონტოიას თავგამოდებული მცდელობისა, დასწეოდა ლიდერს, შუმახერმა მეტოქეს სამ წამზე ოდნავ მეტით გადაუსწრო. სხვათა შორის, სუძუკის ტრასაზე ეს მიხაელის მესამე გამარჯვებაა საერთოდ. ინგლისელმა დევიდ კულტჰარდმა, რომელიც მესამე იყო ბოლო რბოლის ფინიშთან, ჩემპიონატის საბოლოო ჩათვლაში დაიკავა მეორე ადგილი. მას უკან მიჰყვა მიკა ჰაკინენი, მეხუთე აღმოჩნდა ბარიკელო, რომელმაც მეტი ვერაფერი გააწყო მეტოქეებთან ჭიდილში. ბედმა უმუხთლა ფრანგ ჟან ალეზს, რომელიც გაისად თავს ანებებს რბოლაში მონაწილეობას – იაპონიაში მან დისტანციაც ვერ დაამთავრა – კიმ რაიკანენის მანქანას შეეჯახა.



რაც შეეხება მიხაელ შუმახერს, იგი თავიდანვე დაწინაურდა და მესამე წრის შემდეგ ათი წამით უგებდა უახლოეს მდევარს მონტოიას. შემდეგ, მართალია დროში მანძილი შემცირდა, მაგრამ... საბოლოოდ მაინც ისევ შუმახერის სასარგებლოდ.

მიხაელის ღვიძლმა ძმამ რალფმა, რომელიც ახლახან დაქორწინდა, დიდად ვერ გაახარა ახალშერთული მეუღლე, ის ფინიშთან მხოლოდ მეექვსე იყო და ძმას 37 წამით ჩამორჩა.

კონსტრუქტორთა თასზე საბოლოოდ პირველია „ფერარი“ – 179 ქულა, მეორეა – „მაკლარენი“ – 102, მესამე – „უილიამსი“ – 80.

# ჯუმბერ თანანაშვილი



ქართულმა საფეხბურთო სამყარომ კიდევ ერთი დიდი დანაკლისი განიცადა. ტრაგიკულად დაიღუპა ქართული ფეხბურთის ღვაწლმოსილი მუშაკი, ვეტერანი ფეხბურთელი, ბავშვთა ფეხბურთის ამაგდარი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჯუმბერ თანანაშვილი.

დაიბადა თბილისში, 1939 წლის 19 მაისს. ფეხბურთის თამაში დაიწყო „ნორჩ დინამოელში“. 1957 წელს მიიწვიეს „შრომითი რეზერვების“ ნაკრებში, რომლის შემადგენლობაში მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედალი. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ დაამთავრა მწვრთნელთა სკოლა, ფიზკულტურის ინსტიტუტი და პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 60-იანი წლების დასაწყისიდან სამწვრთნელო ასპარეზზეა. მუშაობდა ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრაზე. 1964 წლიდან კი ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლაშია მწვრთნელად. მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობის პერიოდში აღზარდა ფეხბურთის არაერთი დიდებული ოსტატი.

1990 წლიდან გარდაცვალებამდე დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის სამსახურშია. მუშაობდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბავშვთა და მოზარდთა რეზერვის განყოფილებაში.

ქართულ ფეხბურთს გამოაკლდა ადამიანი, რომელიც მთელი შეგნებული ცხოვრება უანგაროდ, ალალად ემსახურა თაობების აღზრდას.

სამწვრთნელო მოღვაწეობის დასრულების შემდეგ, სფფ-ში მუშაობისას მისი უშუალო მონაწილეობით გაიზარდა სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ტურნირების რაოდენობა. ჯუმბერ თანანაშვილი გამორჩეულად უყვარდათ კოლეგებს, შეგირდებს, სამეგობროს. პიროვნული თვისებები განაპირობებდა მის განუზომელ ავტორიტეტს, რასაც ავსებდა ფეხბურთის საფუძვლიანი ცოდნა, მაღალი პროფესიონალიზმი, ფეხბურთისადმი უსაზღვრო სიყვარული.

ჯუმბერ თანანაშვილის ღვაწლი ქართული ფეხბურთის განვითარებაში დიდია, მისი ცხოვრება და საზოგადოებრივი საქმიანობა სამაგალითოდ გადაეცემა თაობებს.

მშვიდობით, ძვირფასო მასწავლებელო, კოლეგა, მეგობარო! მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,
ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი,
საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი.

პანაშვიდი 16, 17X 17 სთ. დაკრძალვა 18X 15 სთ. მისამართი: ვაშლიჯვარი, XI კორპ.

„ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ჩვენი გაზეთის ყოფილ თანამშრომელს, ვეტერან სპორტულ ჟურნალისტს შალვა ქირიას დის

ზაირა ქირიას

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 16, 17.X. 16 სთ. გამოსვენება 18.X. 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას III მ/რ, 1 კორპ.

## იუმორი



# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**16 ოქტომბერი, სამშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (22.05), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგა: „არსენალი“ – „პანათინაიკოსი“ (23.40), მიმოხილვა (2.00), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 21.40), მე-9 არხი. მსოფლიო ფეხბურთი (12.00), ევროპის სტადიონებზე (20.00), *HTB.* ჩემპიონთა ლიგა: კიევის „დინამო“ – „ლივერპული“ (1.25), მიმოხილვა. (3.05). *ESPN.* ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი (08.00), „ტოტენჰემი“ – „დერბი“ (20.00), იტალიის ფეხბურთი (17.30), ჩემპიონთა ლიგა: „არსენალი“ – „პანათინაიკოსი“ (23.30), „ლაციო“ – „ეინდჰოვენი“ (02.00), *EUROSPORT.* ფეხბურთი: ევროგოლები (15.00, 18.30), 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მიმოხილვა (23.00). *HTB плюс футбол.* გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (13.15), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.55), ჩემპიონთა ლიგა: „ლოკომოტივი“ – „რომა“ (20.30), „ანდერლეხტი“ – „რეალი“ (23.40), „არსენალი“ – „პანათინაიკოსი“ (1.35). *HTB плюс спорт.* ძიუდო. საერთაშორისო ტურნირის ფინალები (17.00), ცხენოსნობა (გაწვრთნა). მსოფლიო თასის ეტაპი (21.00).

**17 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (15.15), ფეხბურთი. 17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი: ისრაელი – ბოსნია. რეპორტაჟი თბ. „ლოკომოტივის“ სტადიონიდან (15.55), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგა: მიმოხილვა (15.20), „ბარსელონა“ – „ლივერპული“ (23.40), მიმოხილვა (2.00), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (12.30, 20.00), *HTB.* ჩემპიონთა ლიგა: მიმოხილვა (2.05), „ბარსელონა“ – „ბაიერი“ (2.50). *ESPN.* ჩემპიონთა ლიგა: „არსენალი“ – „პანათინაიკოსი“ (17.00), „ლაციო“ – „ეინდჰოვენი“ (20.30), პარდაპირი მატჩის რეპორტაჟი (23.30, 02.00). *EUROSPORT.* რიტმული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (18.30, 3.15). *HTB плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: „ლოკომოტივი“ – „რომა“ (13.15), „ანდერლეხტი“ – „რეალი“ (15.55), „არსენალი“ – „პანათინაიკოსი“ (18.10), კიევის „დინამო“ – „ლივერპული“ (20.15), „მანჩესტერი“ – „დეპორტივო“ (23.20), „ფეიენოორდი“ – „სპარტა“ (1.35), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.15). *HTB плюс спорт.* საბრძოლო ხელოვნებათა ფესტივალი (15.45), ტაილანდური კრივის ოსტატები, ელდარ გოგუა (20.25), საპლაჟო წყალბურთი. ევროპის თასი (22.25), კალათბურთი. ევროლიგა: ბელგიის „ოსტენდე“ – „ურალგრეიტი“ (23.10).

**18 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* საკალათბურთო მიმოხილვა (16.40), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.20), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 21.40), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (15.15). *ESPN.* ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი „ტოტენჰემი“ – „დერბი“ (08.00), ჩემპიონთა ლიგა (17.00), მსოფლიო თასი, მიმოხილვა (20.00), ჩემპიონთა ლიგა (20.30). *EUROSPORT.* რიტმული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი პირად ჩათვლაში (18.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (23.30), ფეხბურთი. უეფას თასი (2.15). *HTB плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: „ბავარია“ – მოსკოვის „სპარტაკი“ (13.15), „მანჩესტერი“ – „დეპორტივო“ (15.15), „ფეიენოორდი“ – „სპარტა“ (17.00), „ბარსელონა“ – „ბაიერი“ (19.20), მე-4 ტურის მატჩების მიმოხილვა (23.40), მსოფლიო ფეხბურთი (22.15), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.15). *HTB плюс спорт.* კალათბურთი. ევროლიგა (11.45, 20.55), ტაილანდური კრივის რუსეთის ოსტატები (14.40), წრიული ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.05), ბრძოლები წესების გარეშე (17.45).

# კროსვორდი №81




**თარაზულად:** 5. მათემატიკური დებულება მტკიცებით, 6. ლატვიის საფეხბურთო გუნდი, 7. დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელი, 8. იაპონელი ფეხბურთელი, 1998 წლის მს. ჩემპიონატის მონაწილე. 10. მოქანდაკე, „მოაზროვნის“ ავტორი, 11. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1936 წელს, 13. ქართველი მწერლის სახელი... იოსელიანი, 14. პროფესიონალი ვეტერანი მოკრივე, 15. ვეტერანი გერმანელი ფეხბურთელი, უთამაშია თბილისში, 16. სასროლეთი, 19. ჯარის სახელი ძველქართულში, 21. ღვიძლის ანთება, 22. ძველი სამკურნალო წიგნი, 23. რუსეთის მდინარე.

**შვეულად:** 1. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 2. უმაღლესი დონის განმსაზღვრელი კარატეში და სხვა, 3. წერილებისა და ამანათების დამტარებელი, 4. ბორჯომის საფეხბურთო გუნდი, 9. პენიცილინის, სტრეპტომიცინის და მისთანების საერთო სახელწოდება, 12. იაპონიის ქალაქი, რომელიც დაბომბეს ამერიკელებმა 40-იან წლებში, 17. ეგვიპტის დედაქალაქი. 18. წმინდა მოგება ძიუდოში, 20. კიევის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი.

## კროსვორდი №80 ● პასუხები:

**თარაზულად:** 3. ტაისონი, 4. კოშტა, 6. ტიურამი, 8. ღერძი, 10. გურიელი, 11. ლი, 12. „ლიდსი“, 13. როსი, 14. კოე, 17. ბანძა, 19.ნოა, 20. როა, 23. „რომა“, 24. ნაკრები, 25, ხარიხა, 26. გირი. **შვეულად:** 1. ბილიარდი, 2. მშვენიერაძე, 5. ანძიულისი, 7. როგი, 9. ქულა, 15. ანანდი, 16. ბარკლი, 18. ახმახი, 21. „არისი“, 22. კრახი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი




შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლa7! მუქარა 2. ლd4X.
1. ...e6 2. მf7X. 1. ...e5 2. ლa3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.